1 - 7 დეკემბერი
ფასი 1 ლარი 70 თეთრი

# ახალი განათლება

№37 (751) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge



## დისტანციური გაკვეთილი მინიმალური უნარებითა და ეფექტური შედეგით

რა უნარებზეა გათვლილი და როგორ წარიმართება LIVE STREAM გაკვეთილები, ამის შესახებ გვესაუბრება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტების განვითარებისა და დანერგვის სამსახურის უფროსი მარიკა სიხარულიძე

გვერდი 6

## „რთული ქცევა“ – გამომწვევი მიზეზები და პრობლემების მოგვარების გზები



გვერდი 4

## ფასადური რეფორმებით ფონს ვერ გავალთ

ალექსანდრე ჯეჯელავა
განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

გვერდი 3

პედაგოგთა დასახმარებლად

## ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

### სამოქალაქო განათლება

გვერდი 5

მედიაინჟინერია

## რუქნადინის დამარცხება

გვერდი 7

სპორტი

## მაღალი მიღწევები სასკოლო და სტუდენტური სპორტიდან იწყება

სპორტის უნივერსიტეტის სიახლეებსა და ახალ ინიციატივაზე საუბრობს სპორტის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ვლადიმერ ბოჟაძე

გვერდი 7

ხელმომწერთა საყურადღებოდ!




CMYK

კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

# კავკასიის უნივერსიტეტი
# კავკასიის ბიზნესის სკოლა

კავკასიის ბიზნესის სკოლა
Caucasus School of Business

## აცხადებს კონკურსს პროფესორის (8 ვაკანტური ადგილი), ასოცირებული პროფესორის (6 ვაკანტური ადგილი), ასისტენტ პროფესორის (6 ვაკანტური ადგილი) და ასისტენტის (5 ვაკანტური ადგილი) თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ დისციპლინებში:

❖ ფინანსები ❖ მენეჯმენტი ❖ მარკეტინგი ❖ საბუღალტრო აღრიცხვა

### საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

**ა) პროფესორისთვის**
• დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
• ლექტორად მუშაობის და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 6-წლიანი გამოცდილება.

**ბ) ასოცირებული პროფესორისთვის**
• დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
• ლექტორად მუშაობის და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 3-წლიანი გამოცდილება.

**გ) ასისტენტ პროფესორისთვის**
• დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
• სასურველია დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის 2-წლიანი გამოცდილება.

**დ) ასისტენტისთვის**
• დოქტორანტი, რომელსაც, სასურველია, ჰქონდეს მოცემულ სფეროში საქმიანობის 2-წლიანი პედაგოგიური ან/და პრაქტიკული გამოცდილება;
• მოცემული დარგის მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელსაც აქვს მოცემულ დარგში, არანაკლებ, 3-წლიანი მუშაობის გამოცდილება ან/და დარგში/სპეციალობაში სალექციო კურსის წაკითხვის, მინიმუმ, 3-წლიანი გამოცდილება.

### დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:

• კურსის/კურსების სილაბუსი/სილაბუსები;
• CV-რეზიუმე;
• პირადობის მოწმობის ასლი;
• კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის ასლი (საზღვარგარეთ დაცული ხარისხის შემთხვევაში, ავთენტურობაზე საჭირო დოკუმენტაცია, ხოლო საქართველოში დაცული ხარისხის შემთხვევაში, დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლები;
• სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი ცნობა;
• გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია;
• სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

**კონკურსი ჩატარდება სამ ეტაპად:**
I ეტაპი – წარმოდგენილი დოკუმენტების გადარჩევა;
II ეტაპი – პრეზენტაცია;
III ეტაპი – კონკურსის შეჯამება.

**დაინტერესებულმა პირებმა, გთხოვთ, მითითებული დოკუმენტები შემდეგ მისამართზე გამოაგზავნოთ: hr@cu.edu.ge**

**გთხოვთ, საგნის დასახელების ველში მიუთითოთ შესაბამისი აკადემიური თანამდებობის და დისციპლინის სახელწოდება!**

**კავკასიის უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, გადაამოწმოს თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია და დაუკავშირდეს მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებს.**

**საბუთების მიღება: 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 თებერვლის ჩათვლით**

კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

# კავკასიის უნივერსიტეტი
# კავკასიის კინოს სკოლა

კავკასიის ახალი კინოს სკოლა

## აცხადებს კონკურსს პროფესორის (2 ვაკანტური ადგილი), ასოცირებული პროფესორის (10 ვაკანტური ადგილი), ასისტენტ პროფესორის (2 ვაკანტური ადგილი) და ასისტენტის (2 ვაკანტური ადგილი) თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ დისციპლინაში:

❖ აუდიოვიზუალური ხელოვნება

### საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

**ა) პროფესორისთვის**
• დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
• ლექტორად მუშაობის ან/და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 6-წლიანი გამოცდილება.

**ბ) ასოცირებული პროფესორისთვის**
• დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
• ლექტორად მუშაობის ან/და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 3-წლიანი გამოცდილება.

**გ) ასისტენტ პროფესორისთვის**
• მაგისტრის ან დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
• სასურველია, დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის 2-წლიანი გამოცდილება.

**დ) ასისტენტისთვის**
• დოქტორანტი, რომელსაც, სასურველია, ჰქონდეს მოცემულ სფეროში საქმიანობის 2-წლიანი პედაგოგიური ან/და პრაქტიკული გამოცდილება.
• მოცემული დარგის მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელსაც აქვს მოცემულ დარგში, არანაკლებ, 3-წლიანი მუშაობის გამოცდილება ან/და დარგში/სპეციალობაში სალექციო კურსის წაკითხვის, მინიმუმ, 3-წლიანი გამოცდილება.

### დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:

• კურსის/კურსების სილაბუსი/სილაბუსები;
• CV-რეზიუმე;
• პირადობის მოწმობის ასლი;
• კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის ასლი (საზღვარგარეთ დაცული ხარისხის შემთხვევაში, ავთენტურობაზე საჭირო დოკუმენტაცია, ხოლო საქართველოში დაცული ხარისხის შემთხვევაში, დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლები;
• სამეცნიერო-პედაგოგიური ან პრაქტიკული მოღვაწეობის დამადასტურებელი ცნობა;
• გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია;
• სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

**კონკურსი ჩატარდება სამ ეტაპად:**
I ეტაპი – წარმოდგენილი დოკუმენტების გადარჩევა;
II ეტაპი – პრეზენტაცია; III ეტაპი – კონკურსის შეჯამება.

**დაინტერესებულმა პირებმა, გთხოვთ, მითითებული დოკუმენტები შემდეგ მისამართზე გამოაგზავნოთ: hr@cu.edu.ge**

**გთხოვთ, საგნის დასახელების ველში მიუთითოთ შესაბამისი აკადემიური თანამდებობის და დისციპლინის სახელწოდება!**

**კავკასიის უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, გადაამოწმოს თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია და დაუკავშირდეს მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებს.**

**საბუთების მიღება: 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 თებერვლის ჩათვლით**

# ფასადური რეფორმებით ფონს ვერ გავალთ

ალექსანდრე ჯეჯელავა
განათლებისა და მეცნიერების მინისტრი



## სოფლის სკოლების პრობლემატიკა

ამ საკითხს ორ ნაწილად დავყოფ. ერთი არის ზოგადად სტრატეგიული დამოკიდებულება სოფლის სკოლებთან, რომელიც ცალსახად იქნება მათი განვითარების მიმართულებით. უკვე ვამზადებთ და იმედი გვაქვს, რომ საკმაოდ მალე, 2017 წელს, წარმოგიდგენთ მცირე სკოლების განვითარების სრულიად ახალ კონცეფციას. მიგვაჩნია, რომ გვაქვს საშუალება, სოფლის სკოლა, სასწავლო დაწესებულების ფუნქციის გარდა, დავტვირთოთ სხვა ფუნქციებით თემში, სოფელში – იქნება ეს ბიბლიოთეკის, კულტურის ცენტრის, იმავე საბავშვო ბაღის თუ სხვ. ეს სიახლე მიმართული იქნება სწორედ იმისკენ, რომ შენარჩუნდეს მოსახლეობა მაღალმთიან და მცირეკონტინგენტიან სკოლებსა და სოფლებში.

მეორე – რაც შეეხება ცხრაკლასიანი სკოლების გადაქცევას, ასე ვთქვათ, თორმეტკლასიან სკოლებად, აქ უნდა გავითვალისწინოთ ხარისხის მოთხოვნები. იქ, სადაც არის მაღალკვალიფიციური პერსონალი (მოგეხსენებათ, ბოლო საფეხურზე ყველაზე მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგები გვჭირდება), სადაც ამის საშუალება იქნება, ყველგან განვიხილავთ ასეთ შესაძლებლობას. თუმცა, ეს არ არის დაპირება, რომ ყველგან გავაკეთებთ ამას, იმიტომ რომ, მთავარი ჩვენი ამოცანაა, ყველა მოსწავლეს ნებისმიერ ადგილას ჰქონდეს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა.

და მესამე, რაც მინდა ვთქვა, ტექნოლოგიების განვითარება და სოფლების ინტერნეტიზაცია (რომლებიც მიმდინარეობს) და სწავლების ტექნოლოგიების გამოყენება კიდევ უფრო გააძლიერებს შანსს, სწორედ რომ, სრულფასოვანი განათლება მიიღოს, თუნდაც, სამმა-ოთხმა მოსწავლემ ნებისმიერ პატარა სოფელში და ეს გახდეს კიდევ ერთი საფუძველი მათი ამ სოფლებში შეკავების, საცხოვრებლად დარჩენის. ეს ნამდვილად ჩვენი პრიორიტეტია.

## სკოლამდელი აღზრდა

ახალი კანონი მიღებულია, სტანდარტებზე მუშაობა დაწყებულია. გვეხმარება გაეროს განვითარების ფონდი. თითქმის ყველა სტანდარტი, რომელიც 2017 წელს უნდა ამოქმედდეს, მზადაა. მთავრობის ადმინისტრაციაც ჩართულია ამ პროცესში და იუნისეფიც გვეხმარება. 2017 წლის აპრილიდან დაიწყება კანონის ინპლემენტაცია.

ვამზადებთ სასწავლო პროგრამებს, აღმზრდელ-მასწავლებლების მომზადების ტრენინგ-მოდულებიც უკვე მზადაა. მნიშვნელოვანია, რომ აღმზრდელებს პედაგოგის სტატუსი დაუბრუნდათ. ესეც ამ კანონის და რეფორმის დადებითი მხარეა.

მოგეხსენებათ, რომ ძალიან დიდი მოთხოვნაა საბავშვო ბაღების მომსახურებაზე განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სახელმწიფომ სრულად აიღო მისი დაფინანსება. ვეხმარებით მუნიციპალიტეტებს, რომლებსაც არ აქვთ საშუალება და ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ, რომ ბაგა-ბაღები იმ შენობებსა და სკოლებში განლაგდნენ, სადაც გვაქვს საშუალება. მინდა ხაზი გავუსვა, რომ ეს ძალიან წინგადადგმული ნაბიჯია და კანონის ძალაში შესვლა-ამოქმედებას არავითარი საფრთხე არ ემუქრება.

## სპეცსკოლების სტატუსი

გვახსოვს, რომ სპეციალურ სკოლებს შეუჩერდათ სტატუსი, უფრო სწორად – ჩამოერთვათ (ეს იყო ფიზიკა-მათემატიკური სკოლები, სხვა მიმართულებით გაძლიერებული სკოლები, მათ შორის ენების მიმართულებით). იმავე პერიოდში, სახელოვნებო და სასპორტო სკოლებზეც მასირებული იერიში განხორციელდა და, სამწუხაროდ, ფაქტობრივად, ჩვენ დავკარგეთ (თუმცა, საბოლოოდ არა, მაგრამ ამის მცდელობა იყო) ყველაზე მაღალშედეგიანი სკოლები. ძალიან სასიხარულოა, რომ ეს სკოლები აღდგა, თუმცა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღდგა ნაწილობრივ – ზოგიერთ სკოლას აღუდგა სახელმწიფოს მხარდაჭერა, თუმცა იმავე სახელოვნებო და სასპორტო სკოლების მიმართულებით კიდევ უფრო მეტია გასაკეთებელი.

განათლების რეფორმის ფარგლებში, ვაპირებთ, ამ სკოლებში ხელი შევუწყოთ ზედა კლასებში სპეციალიზაციას, როგორც ეს არის საერთაშორისო მოდელებში, თითქმის ყველა ქვეყანაში. ბოლო კლასებში საუკეთესო მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, ისეთ სკოლებში ისწავლონ, სადაც გაძლიერებული იქნება კონკრეტული მიმართულებები. მათ შორის, აქვე აღვნიშნავ, რომ ამ ხელშეწყობაში მოყვება როგორც საგნობრივი მიმართულებებით გაძლიერებული სკოლები (ფიზიკა, მათემატიკა, ინფორმატიკა, ფილოლოგია თუ სხვ.), ასევე სასპორტო და სახელოვნებო სკოლები. ჩვენ ვგეგმავთ საერთო საცხოვრებლების, ანუ მოსწავლეების საცხოვრებლების აღდგენას იქ, სადაც ამის საშუალებააა და შემდგომ განვითარებას. ესეც ერთ-ერთი მეთოდია, რომ რაიონებიდან, სოფლებიდან ყველაზე ნიჭიერ ბავშვებს მივცეთ საშუალება, რომ კარიერული და პროფესიული ტრამპლინი მიიღონ ძალიან ხარისხიანად. უკვე რამდენიმე თვეა, ვმუშაობთ ბევრ ისეთ სკოლასთან, ვისაც აქვს სურვილი და ხედავს შესაძლებლობას, რომ მეტი მოსწავლე ჰყავდეს და უფრო კონცენტრირებულად, უფრო მაღალი ხარისხის განათლება მისცეს მათ.

ძალიან თვალნათელია – რამხელა სამსახური გაუწია ქვეყანას ამ სკოლებმა და როგორი ხალხია იმ სასპორტო, სახელოვნებო, ფიზიკა-მათემატიკური, უცხოური ენის თუ სხვა სკოლებიდან გამოსული. ეს აუცილებლად იქნება ჩვენი რეფორმის ერთ-ერთი ცენტრალური პრიორიტეტი. მეც ასეთი სკოლიდან ვარ და, ამ შემთხვევაში, სუბიექტური ვარ დადებითად მხარდასაჭერად.

## გამოხმაურება

მინდა გამოვეხმაურო იმ კომენტარებს, რაც ზღაპრებს, მულტფილმებს, საბავშვო ლიტერატურას შეეხებოდა. რამდენჯერმე მომხვდა ყურში, რა განათლების მინისტრის საქმეა ამაზე საუბარი. მინდა, ჩემი მოსაზრება გაგიზიაროთ ამასთან დაკავშირებით. განათლება შეიძლება გავიგოთ ვიწრო გაგებით, როგორც სასკოლო ან უმაღლესი განათლება და შეიძლება გავიგოთ ფართო გაგებით, როგორც სრულფასოვანი ადამიანის ჩამოყალიბების პროცესი. თუ ამ ფართე გაგებით შევხედავთ, რისი მომხრეც ვარ, ყველაფერი, რაც აყალიბებს ბავშვის ფასეულობების სისტემას, ღირებულებებს, ჩვევებს, უნარებს, განათლების სისტემის და განათლების სფეროს სადარდებელია. ამდენად, მე ვფიქრობ, რომ დებატი იმის თაობაზე, გვჭირდება თუ არა ახალი გმირები, რას აწავლიან ჩვენს შვილებს – „კომბლე“ იქნება, „ნაცარქექია“ თუ სხვა გმირები ჩვენი ეპოსის, ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია განათლების რეფორმის.

სკოლამდელი განათლება, მაგალითად, სულ თამაშზე, მულტფილმზე, სიმღერასა და ლექსზეა აგებული, თუმცა, ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც ბავშვს ფასეულობები უყალიბდება. დღეს თქვენ რომ არ მოგწონთ პროცესები, რომლებიც ჩვენს საზოგადოებაში მიდის, ეს მხოლოდ ქიმიის და ფიზიკის ცოდნის დეფიციტი არ არის. დაფიქრდით, საიდან მოდის ამდენი ძალადობა, ღვარძლი, ეშმაკობა, ტყუილი, ქონების ან საავტორო უფლებების წართმევა და ა.შ. მოკლედ, განათლებას უნდა შევხედოთ კომპლექსურად და მე მზად ვარ, რომ გამოვიწვიო კრიტიკა, მთავარია, საზოგადოებაში გამოვიწვიო დებატი განათლების თემაზე. ტაბუირებული თემებით და ფასადური რეფორმებით ჩვენს განათლების სისტემას, 25 წელია, არაფერი ეშველა და არც ეშველება კიდევ 25 წელი. უნდა გავბედოთ ამ თემებზე საუბარი. ჩვენ უნდა მოვახერხოთ, რომ 21-ე საუკუნეში ვიხელმძღვანელოთ 21-ე საუკუნის ეროვნული ფასეულობებით. მათაც, ვინც მაკრიტიკებს, იციან, რომ მშობლები ხშირად ცვლიან ზღაპრებს და ისე უყვებიან ბავშვებს, იმიტომ რომ ვერ უხსნის დედა, რატომ აჭმევს ჩიტი მელიას ბარტყებს, რატომ ხდება ათასი უბედურება... ვისაც უნდა, რომ მათი შვილები დაემსგავსონ კომბლეს, ნაცარქექიას თუ სხვა პერსონაჟებს, ჩვენ ვერ დავუშლით, მაგრამ მოდი ვისაუბროთ, ვიმსჯელოთ ამ თემაზე და ვინც იტყვის, რომ რაღაც შესაცვლელია, იმის აზრიც გავითვალისწინოთ.

ფასადური რეფორმებით ჩვენ ფონს ვერ გავალთ, ყველა ასპექტს უნდა შევეხოთ – საბავშვო ლიტერატურასაც, ლექსებსაც, მულტფილმებსაც და ყველა მიმართულებას, რაც ჩვენი ახალგაზრდობის ფორმირებაში მონაწილეობს. ყველა ქვეყანა, რომელიც მოწინავეა, განათლების შედეგებით, ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს ყველა ამ ასპექტს და ამიტომ, მოგიწოდებთ, აქტიურად გამოთქვათ თქვენი მოსაზრება – როგორი უნდა იყოს ჩვენი ახალი გმირი, სად არის ის ზღაპრები, სადაც პატიოსანი შრომით მიიღწევა კეთილდღეობა, სადაც გვერდში დგომით, ერთობით და საერთო პასუხისმგებლობით ვაღწევთ შედეგს. აი, ეს არის მთავარი შეკითხვები, რომლებზეც უნდა ვისაუბროთ და დიდი იმედი მაქვს, ამ სახალხო განხილვაში ყველა ჩაერთვება.

ასევე მნიშვნელოვანია, სად გადის საზღვრები ჩვენი განათლების სისტემის – ამაზე მთელ მსოფლიოში მსჯელობენ და კიდევ ერთი – იმავე ოჯახის დამოკიდებულების შეცვლის გარეშე, შევძლებთ თუ არა განათლების სისტემის რეფორმირებას. შეუძლია თუ არა სკოლას ან უმაღლეს სასწავლებელს რამე შეცვალოს, როდესაც ოჯახი არ ცვლის თავის შეხედულებას და დამოკიდებულებას. ძალიან ბევრ პედაგოგს აქვს მშობლების მხრიდან მხარდაჭერის პრობლემა და მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რომ ეს საქმე ჩვენი, ყველას, გასაკეთებელია ერთად. უნდა ვისაუბროთ ოჯახზეც, საზოგადოების დამოკიდებულებაზეც განათლების, სწავლის, განვითარებისა და ამ რეფორმის მიმართ. ასევე საინტერესოა, რა ადგილი უჭირავს, რა წვლილი აქვს ქართულ ეროვნულ ფასეულობებს ამ სისტემაში. ჩემი მოსაზრებაა, რომ სკოლა (განსაკუთრებით სკოლა), თუმცა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიც, სწორედ ფასეულობების ფორმირებაზე უნდა იყვნენ კონცენტრირებული. არაერთხელ მითქვამს, რომ სკოლა უნდა იყოს აღზრდის ადგილი, სადაც სწორედ ღირებულებებსა და ურთიერთობებზეა აქცენტი გადატანილი და არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე. დარწმუნებული ვარ, თუ ჩვენი სკოლა დაეხმარება ადამიანს, რომ ჩამოყალიბდეს უკეთესი პატრიოტი, ქვეყნის მოყვარული, საზოგადოებრივი, სოციალური პასუხისმგებლობის მატარებელი, კეთილი, სათნო ადამიანი, ქიმიის ცოდნას, ფიზიკის, ლიტერატურის და უცხო ენისას, აუცილებლად მოევლება. მთავარია, შევძლოთ, ჩვენს საზოგადოებას ისეთი შვილები აღვუზარდოთ, რომლებიც იმ ფასეულობების სისტემას გაიზიარებენ, რაც არის ჩვენი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი.

რა თქმა უნდა, კონკრეტული საგნის სასწავლო პროგრამა აუცილებლად არის ჩვენი სამუშაო, მაგრამ ამაზე უფრო მეტად ჩვენთვის მნიშვნელოვანია სწორედ დებატი და მსჯელობა იმაზე, რა ფასეულობებს ვაზიარებთ მოსწავლეს, უნდა ჩავუნერგოთ თუ არა ჩვენს შვილებს შრომისმოყვარეობა და სად არის ის ისტორიები, რომლებიც ასწავლის მათ შრომისმოყვარეობას (ლიტერატურულ ნაწარმოებსაც ვგულისხმობ, ზღაპარსაც, მულტფილმსაც, სიმღერასაც და ცეკვას), სად არის ის მასალა, რომელიც ასწავლის საერთო, ჯგუფურ პასუხისმგებლობას, რომ სადარბაზო ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც შენი საკუთარი ბინა და ა.შ. მე მგონია, ერთად უნდა დავფიქრდეთ იმის შესახებ, რომ განათლების სისტემა არ მთავრდება სკოლის ან უნივერსიტეტის საზღვრებში, ნებისმიერი ქუჩა ან ეზო განათლების სისტემის კომპონენტია და რომ მთავარი და გადამწყვეტი ამოცანა ჩვენი განათლების სისტემის არის ადამიანების ქართული, ეროვნული ფასეულობებით აღზრდა.

აუცილებლად მინდა შევეხო „ვეფხისტყაოსანს“. როცა ვთქვი, რომ ნაკლები საზეპირო უნდა იყოს, პირდაპირ „ვეფხისტყაოსნის“ სიძულვილში დამდეს ბრალი, რაც, რა თქმა უნდა, სიმართლეს არ შეეფერება. „ვეფხისტყაოსანი“ ძალიან მიყვარს, მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ზეპირადაც ვიცი და ხშირ-ხშირადაც ვკითხულობ. თუმცა, ამ ხალხს, ვისაც ეს არ მოეწონა, როგორც ჩანს, ჰგონია, რომ მინისტრის პირადი შეხედულებების მიხედვით – სანდრო ჯეჯელავას უყვარს თუ არა „ვეფხისტყაოსანი“, ან ქიმია, ან მათემატიკა – უნდა გადაწყდეს ჩვენი განათლების სისტემის ბედი, რაც აბსოლუტურად უსაფუძვლო მოსაზრებაა. მე ვარ დაქირავებული მოხელე, ამ შემთხვევაში – მენეჯერი, რომელმაც უნდა მიაღწიოს იმას, რომ სისტემა დაიხვეწოს და წინ წავიდეს. მე თუ „ვეფხისტყაოსანი“ ძალიან მიყვარს და ზეპირად ვსწავლობ მის ნაწილებს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენს ბავშვებს უნდა დავაძალოთ, ზეპირად ისწავლონ „ვეფხისტყაოსანი“, ან მე თუ მათემატიკა მიყვარდა, ეს არ ნიშნავს, რომ ყველა ბავშვმა საქართველოში მათემატიკა უფრო მეტი მონდომებითა და გაძლიერებით უნდა ისწავლოს.

მივმართავ იმ ხალხს, ვისაც ასეთი შეხედულება აქვს, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რა მოსწონს და რა უყვარს მინისტრს, მთავარია ჩვენ როგორი მოქალაქის აღზრდა გვინდა და რა დასჭირდება ამ მოქალაქეს თავის ზრდასრულ ცხოვრებაში. ამიტომ, მინდა დაგარწმუნოთ, რომ ჩემი პირადი შეხედულებები, შეეხება ეს ლიტერატურას თუ ტექნიკურ საგნებს, არანაირ გავლენას არ მოახდენს, მაგალითად, სასწავლო პროგრამის ფორმირებაზე, იმიტომ რომ, რამდენი ადამიანიც არის, იმდენი გზა არსებობს და ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი სკოლა, ისეთი უმაღლესი სასწავლებელი, ისეთი პროფესიული სასწავლებელი, სადაც თითოეულ ადამიანს შეეძლება თავისი შესაძლებლობის სრულად რეალიზაცია და არ დავაძალებთ იმას, რაც მინისტრს მოსწონს ან რომელიმე საზოგადოებრივ მოღვაწეს, ან მეცნიერს, ან ექსპერტს თუ კონსულტანტს. ეს არის ჩვენი მთავარი ამოცანა და პირობას გაძლევთ, რომ ჩვენ სწორედ ამ ამოცანას ვემსახურებით, თქვენი მხარდაჭერით და გვერდში დგომით.

მოამზადა
ლალი თვალაბეიშვილმა

აქტუალური თემა

# „რთული ქცევა“ – გამომწვევი მიზეზები და პრობლემების მოგვარების გზები

მაკა ყიფიანი



*მოზარდის ნებისმიერი ქცევითი გადახრა, რომელიც საზოგადოებაში აღიარებულ ნორმებს ცდება, ქცევითი და ემოციური პრობლემებითაა გამოწვეული. არაჯანსაღი სოციალური გარემო ხელს უწყობს მოზარდების ფსიქო-ემოციური პრობლემების მატებასა და გამოვლენას. ფსიქოლოგების აზრით, ქცევითი და ემოციური პრობლემის გამომწვევი მიზეზი მრავალ ფაქტორს უკავშირდება, ხშირ შემთხვევაში ოჯახურ გარემოს. ოჯახში ძალადობა ბავშვებსა და მოზარდებში იწვევს როგორც მოკლე, ასევე გრძელვადიან პრობლემებს, რომელთა ადრეული იდენტიფიცირება ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ბავშვს გაეწიოს დახმარება და თავიდან იქნეს აცილებული ოჯახში ძალადობის შედეგად განვითარებული ემოციური და ქცევითი დარღვევები. მასწავლებლებს აქვთ ყველაზე მეტი საშუალება, დროულად ამოიცნონ ოჯახში ძალადობის ნიშნები და პოზიტიური ცვლილებები შეიტანონ მოსწავლის პრობლემურ ცხოვრებაში.*

*რამდენად ხშირია ქცევითი და ემოციური პრობლემები სკოლის მოსწავლეებში, რით არის გამოწვეული და დროულად ხდება თუ არა მათი იდენტიფიცირება, დაძლევა და მოგვარება – ამ საკითხებზე რამდენიმე სკოლის დირექტორს და ფსიქოლოგს გავესაუბრეთ.*

**მანანა თურქაძე,** 51-ე საჯარო სკოლის დირექტორი: „მოგეხსენებათ ჩვენი სკოლის კონტინგენტი საკმაოდ დიდია, 2500-ზე მეტი მოსწავლე სწავლობს შესაბამისად, ქცევითი და ემოციური პრობლემების შემთხვევები არც თუ ისე ცოტა გვაქვს. მოსწავლეების რთული ფსიქოლოგიური მდგომარეობა სხვადასხვა ფორმით გამოიხატება – საკუთარი თავისა და შინაგანი ემოციების ვერ მართვით, დეპრესიით, შფოთვით, გაკვეთილის ჩაშლის მცდელობით, აგრესიით და ა.შ. ქცევით თუ ემოციურ პრობლემებს უამრავი ფაქტორი განაპირობებს. არ არსებობს მისი მხოლოდ ერთი გამომწვევი მიზეზი, ასეთი ძალიან ბევრია, დაწყებული როგორც გარე, ისე შინაგანი ფაქტორებით – ოჯახური კონფლიქტები, კომპიუტერთან მიჯაჭვულობა, ძალადობა, მისტიკური/ფანტასტიკის ჟანრის ლიტერატურის გავლენა.... აუცილებლად უნდა დავასახელო იაპონური ანიმაციური ფილმი – „ანიმე“, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვების ფსიქიკაზე. ქცევით და ემოციურ პრობლემებს განსაკუთრებით გარდატეხის ასაკში, VII-IX კლასებში ვხვდებით. ძირითადად, მათი ასეთი ქცევა ხელს უშლის გაკვეთილის მსვლელობას.

რაც შეეხება მშობლების ჩართულობას, სამწუხაროდ, მათი უმრავლესობა პრობლემას მაშინ აღმოაჩენს, როდესაც მისი გამოსწორება გაცილებით რთულია. როგორც წესი, მშობლისთვის ფსიქოლოგიური მომსახურება ტაბუდადებული თემაა და ხშირად ამაზე საუბარი არ სურს. ფსიქიატრი და ფსიქოლოგი მათთვის გაიგივებულია. ვცდილობთ ავუხსნათ, რომ ეს არის ქცევის მართვის პრობლემა და მათ შვილს დახმარება სჭირდება, ხშირად, მათთან თანამშრომლობა გამოგვდის, თუმცა, არის შემთხვევები, როცა მშობელი არ თანხმდება, მაშინ ვცდილობთ, ჩვენმა ფსიქოლოგმა იმუშაოს არა მარტო ასეთ ბავშვთან, არამედ მთელ კლასთან. ასეთი მიდგომით გარკვეულ შედეგს ვაღწევთ.

ჩვენი კვლევების და დაკვირვების შედეგად, მოსწავლეებში ქცევითი და ემოციური სირთულეები ხშირად განპირობებულია ოჯახური მდგომარეობით. ბავშვების უმეტესობას, რომლებიც ისეთ ოჯახებში ცხოვრობენ, სადაც ფიზიკური დასჯა და შეურაცხყოფა აღზრდის მეთოდია ან სადაც სითბოსა და ყურადღების ნაკლებობას განიცდიან, ფსიქოლოგიური სირთულეები აღენიშნებათ. თუმცა, ძალიან ბევრი მოსწავლეა, რომელსაც არ აქვს ოჯახური პრობლემები და მაინც „რთული ქცევით“ გამოირჩევა.

მანდატურის ფსიქოლოგიურ ცენტრთან აქტიურად ვთანამშრომლობთ, არაერთხელ დაგვეხმარნენ პრობლემის მოგვარებაში, ასევე, ძალიან დიდ დახმარებას გვიწევს სკოლის ფსიქოლოგი ეკა ბურკიაშვილი.

სკოლაში 5 მანდატური გვყავს, სკოლის სიდიდიდან გამომდინარე, სასურველია, ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდოს. მე, როგორც სკოლის დირექტორს, ძალიან დიდი იმედი მაქვს მანდატურების, არ ყოფილა შემთხვევა, რომელიც მათ გამოპარვიათ. ძალიან დიდი ნდობა მოიპოვეს მოსწავლეებში, მასწავლებლებსა თუ მშობლებში. ისინი მედიატორები არიან მოსწავლესა და მასწავლებელს შორის, ჩვენ ერთობლივად ვმუშაობთ პრობლემების მოგვარებაზე“.

**ეკატერინე ბურკიაშვილი**, 51-ე საჯარო სკოლის ფსიქოლოგი: „ბავშვის სოციალური და ემოციური განვითარება უმნიშვნელოვანესია გარემოში მისი ადეკვატური, სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის. ფიზიოლოგიურ და კოგნიტურ ცვლილებებთან ერთად სოციალურ-ემოციური ცვლილებები ეხმარება ბავშვს იმის განსაზღვრაში, თუ ვინ გახდება ის მომავალში. მოზარდის ფსიქოლოგიურ პრობლემებში შეგვიძლია მოვიაზროთ ქცევითი და ემოციური სირთულეები.

ქცევითი და ემოციური პრობლემები ყველა ასაკისათვის არის დამახასიათებელი, ბავშვობიდან ზრდასრულობის ჩათვლით. მათი ჩამოყალიბება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. მაგალითად, დაწყებით კლასებში, ამის ერთ-ერთი მიზეზი სკოლისთვის სათანადო მზაობის არქონაა, რაც ხშირად ემოციური მოუმწიფებლობის ბრალია. თუ მისი დაძლევა თავიდანვე არ მოხდა, მომავალში, შეიძლება, უფრო რთულ ემოციურ პრობლემებამდე მიგვიყვანოს. ოჯახური კონფლიქტები; არაჯანსაღი გარემო; ყურადღების ნაკლებობა, ურთიერთობის (აღზრდის) არასწორი სტილი და სხვ. ნეგატიურ გავლენას ახდენს პიროვნების ფსიქოტიპის ჩამოყალიბების პროცესში, ასევე, ფსიქოლოგიური ტრავმა ანუ ძლიერი სტრესისგან გამოწვეული ფსიქოლოგიური რეაქცია. ამის ერთ-ერთი მაგალითი შეიძლება იყოს ახლობელი ადამიანის დაკარგვა, ბუნებრივი კატაკლიზმები, ძალადობრივი გამოცდილება. პოსტტრავმულ მდგომარეობაში ბავშვებს აქვთ ემოციური და ქცევითი პრობლემების სხვადასხვაგვარი გამოხატულება. ასეთ დროს ისინი უცხო (არასტანდარტულ) პიროვნულ თავისებურებებს ავლენენ, ამას კი შეიძლება სოციუმიდან გამიჯვნა მოჰყვეს, რაც გარემოსა და პიროვნების ურთიერთზეგავლენის ხარჯზე ხდება. ზოგადად, როგორც აღვნიშნეთ, რთული ქცევითი და ემოციური მდგომარეობები კომპლექსური ხასიათისაა და მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული.

იქიდან გამომდინარე, რომ მოსწავლე სკოლაში დიდ დროს ატარებს და ბევრ ადამიანთან უწევს ურთიერთობა (მასწავლებლები, თანატოლები), ფსიქოლოგიური მდგომარეობების გამოვლინება უმეტესად სკოლაში ხდება.

ქცევითი და ემოციური პრობლემები თანატოლებთან ურთიერთობაში ვლინდება ან გარკვეული ქმედებით, ან სრული უმოქმედობით. ამას, პირველი, სწორედ რომ, პედაგოგები ამჩნევენ. ძირითადად, ეს მოსწავლეზე აკადემიური მოსწრების კუთხითაც აისახება, მაგალითად, უჭირს კონცენტრაცია, დამახსოვრებულის აღდგენა და ა.შ. ქცევითი პრობლემები მრავალი სახისაა, ყველაზე აქტუალური პრობლემაა აგრესიული ქცევა, პედაგოგის ან თანაკლასელის მიმართ გამოვლენილი პროტესტით ან დესტრუქციული კუთხით, მაგალითად, გაკვეთილის ჩაშლა, ყვირილი და სხვ. ეს ყველაზე თვალშისაცემი ქცევაა და შესაბამისად, იდენტიფიცირება მარტივდება. ასევე, ქცევითი პრობლემა შეიძლება ემოციური პრობლემებით იყოს გამოწვეული. ემოციური ქცევა უფრო შფოთვითი ტიპის პრობლემებს უკავშირდება, რაც ზემოთ განვიხილეთ. მარტივად ეს შეიძლება დავინახოთ, თუ ბავშვი ვერ გამოდის დაფასთან, ვერ ყვება გაკვეთილს, იბნევა, წითლდება, გულისცემა უხშირდება და ა.შ. ჩემი საქმიანობა მხოლოდ მოსწავლეებთან ურთიერთობით არ შემოიფარგლება, პარალელურად ვთანამშრომლობ მშობლებთან და მასწავლებლებთან. ფსიქოგანათლებას სკოლაში ძალიან დიდი როლი უკავია. არის თემები, რომლებზეც მასწავლებლებთან ერთად ვმუშაობ: ლიდერობა, სტერეოტიპები, კონფორმიზმი და სხვ.

ვფიქრობ, დიდ გავლენას ახდენს მოზარდის ფსიქიკაზე არასწორად შერჩეული ინტერნეტ თამაშები, მხატვრული ლიტერატურა, ანიმაციური თუ მხატვრული ფილმები. თუმცა, ამასაც სათანადო კვლევა სჭირდება, რადგან ეს ვერ იქნება გამომწვევი მიზეზი, მას შეუძლია ხანდახან გაამწვავოს პრობლემა. მოსწავლეები ზოგჯერ საკუთარი სურვილით მოდიან ჩემთან ხანდახან, პედაგოგის ან მშობლის თხოვნით. რადგან სკოლის ფსიქოლოგი არ ატარებს თერაპიულ ხანგრძლივ კურსს, ამიტომ მხოლოდ კონსულტაციებით შემოვიფარგლები. თუ პრობლემის დაძლევას ვერ ვახერხებ და ბავშვი საჭიროებს თერაპიას, ამ შემთხვევაში, ვამისამართებთ განათლების სამინისტროს მანდატურის სამსახურთან არსებულ, ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრში“.

**მარინე სამუშია,** 141-ე საჯარო სკოლის დირექტორი: „რთული ქცევის და ფსიქიკური აშლილობის მქონე ბავშვები სკოლაში ნაკლებად გვყავს. ძირითადად, ჩვენს მოსწავლეებს, სწავლის პრობლემები აქვთ, ვერ ითვისებენ ყველა საგანს ისე, როგორც სხვა ბავშვები. ასეთი ბავშვები სსსმ მოსწავლეები არიან, ამიტომ განსხვავებული სერვისით სარგებლობენ. მათთვის ინდივიდუალურ გეგმას ადგენენ მასწავლებელი, სპეცმასწავლებელი და ფსიქოლოგი, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში შეთანხმებულად მუშაობენ, რათა მიაღწიონ იმ მაქსიმუმს, რისი მიღწევაც ბავშვს შეუძლია. სკოლაში სულ 20 სსსმ მოსწავლე გვყავს.

რაც შეეხება ქცევით და ემოციურ პრობლემას: გვქონდა ასეთი შემთხვევა, მოსწავლე სკოლაში არ იქცეოდა ცუდად, მაგრამ სახლიდან მოსულს აღენიშნებოდა სილურჯეები. დავინტერესდით, გამოვიკვლიეთ მისი ოჯახური მდგომარეობა და აღმოჩნდა, რომ დედა გარდაცვლილი ჰყავდა, ზრდიდა ბებია და მამა, რომელსაც სხვა ოჯახი ჰყავდა. ბავშვს აიძულებდნენ გასულიყო ქუჩაში და რაიმე გაეყიდა, რის გამოც გაკვეთილების გაცდენა უწევდა. თუ ბავშვი არ დაუჯერებდა, სცემდნენ. როცა მამას გავესაუბრეთ, თქვა: რად მინდა ასეთი შვილი, ყელს გამოვჭრი და გადავაგდებო. ჩავრთეთ სოციალური სამსახური, ბავშვი გააშვილეს, დღეს დროებით ოჯახში ცხოვრობს და ბედნიერად გრძნობს თავს. როდესაც ბავშვს ქცევითი და ემოციური პრობლემა აღენიშნება, პირველ რიგში, აუცილებლად უნდა გამოვიკვლიოთ მისი ქცევის გამომწვევი მიზეზი. თითოეული ბავშვი ინდივიდია და ინდივიდუალურად უნდა მივუდგეთ. ჩემი გამოცდილებით, ძირითადად, ასეთი ბავშვები ოჯახური პრობლემების გამო ხდებიან ქცევითი და ემოციური დარღვევის მქონე. მქონდა შემთხვევა, როცა რთული ქცევისთვის მოსწავლის მშობელი დავიბარე, რომელმაც მითხრა, რა ვქნა, სცემა მამამისმა, მაგრამ მაინც ვერაფერს ვაგებინებთო. წარმოგიდგენიათ, 6-7 წლის ბავშვზეა საუბარი და მშობელი დარწმუნებულია, რომ პრობლემას ცემით მოაგვარებს.

რაც შეეხება ბულინგის თემას, ამაზე ოჯახმა და სკოლამ ერთობლივად უნდა იმუშაონ. მოსწავლე, რომელსაც ეზიზღება სკოლაში მოსვლა, რა თქმა უნდა, ბულინგის მსხვერპლია. ეს შემთხვევა აუცილებლად უნდა გამოვიკვლიოთ, რათა დროულად გადავჭრათ პრობლემა.

არიან მშობლები, რომლებსაც არ სურთ, რომ მათმა შვილმა კონსულტაცია გაიაროს ფსიქოლოგთან. ჰგონიათ, რომ ბავშვს არაფერი სჭირს. ამ შემთხვევაში, სკოლას აქვს უფლება, მიმართოს განათლების სამინისტროს მულტიდისციპლინარულ გუნდს ან მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიურ ცენტრს. მხოლოდ სერვისით სარგებლობის შემდეგ ხვდება მშობელი, რომ აუცილებელი ყოფილა მისი შვილის დახმარება და მადლობასაც კი გვიხდის.

ჩვენს სკოლაში 720 მოსწავლეა. რომ არა მანდატურის სამსახური, ალბათ, მარტო პედაგოგები და სკოლის დირექცია ვერ შევძლებდით იმ პრობლემების მოგვარებას, რომელიც არა მარტო ჩვენთან, არამედ, ზოგადად, თითქმის ყველა სკოლაშია. მანდატურს ძალიან დიდი ფუნქცია აკისრია და სკოლაში მისი არსებობა აუცილებელია უსაფრთხოებისთვის. ჩვენი მანდატურები ძალიან დიდ დახმარებას გვიწევენ“.

**მარიამ გახუტიშვილი**, 141-ე საჯარო სკოლის ფსიქოლოგი: „მართალია, ძირითადად, ქცევით და ემოციურ პრობლემებს ვაწყდებით სსსმ მოსწავლეებთან, მაგრამ იყო შემთხვევა, როცა მოსწავლეს ჯერ არ ჰქონდა დადგენილი სტატუსი და გამოკვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ოჯახური ძალადობის მსხვერპლი იყო, რის გამოც აგრესიას სკოლაში ავლენდა. ჩვენ ეს ბავშვი გადავამისამართეთ ფსიქოლოგიურ სამსახურში. თანამშრომლობა შედგა და შედეგიც კარგი გვაქვს. მათი მხრიდან იყო რეკომენდაციები მშობლის, მასწავლებლის, დირექტორის და ჩვენ მიმართაც, რომლებიც გავითვალისწინეთ.

ქცევითი და ემოციური პრობლემის შემთხვევები გვხვდება როგორც მაღალ, ასევე დაწყებით კლასებში. პირველი კლასის

## აქტუალური თემა

მოსწავლე, რომელსაც ჰყავდა მამინაცვალი და მისი მხრიდან ძალადობის მსხვერპლი იყო, სკოლაში, თანაკლასელების მიმართ, აგრესიულ ქცევას ავლენდა; გვქონდა შემთხვევა დაწყებით კლასში, როცა ბიჭი თანაკლასელებს დაუნდობლად ურტყამდა. ეს ბავშვიც ოჯახური ძალადობის მსხვერპლი იყო და მისი ქცევაც ამით იყო განპირობებული.

ქცევით და ემოციურ პრობლემასთან დაკავშირებული ყველა შემთხვევა დროულად იქნა იდენტიფიცირებული და მოგვარებული. მანდატურის ფსიქოლოგიურ ცენტრთან აქტიურად ვთანამშრომლობთ. ისინი დიდ დახმარებას გვიწევენ და ძალიან კარგ და საჭირო საქმეს აკეთებენ. სასურველია, ცენტრი კიდევ უფრო გაფართოვდეს. ზოგადად უნდა გაძლიერდეს ფსიქოლოგის ინსტიტუტი, უნდა გავუშვათ სოცმუშაკები ოჯახური მდგომარეობის შესასწავლად, სადაც ხელი მიგვიწვდება, აქტიურად უნდა ჩაერთოს მშობელი, მასწავლებელი, საზოგადოება.

ოჯახური ძალადობა, ოჯახში მამაკაცების დომინანტობა ზღვარს გადადის, რაც მოზარდებზე უარყოფით გავლენას ახდენს. მაღალ კლასებში მქონდა შემთხვევა, როდესაც ბიჭი მოვიდა ჩემთან და მითხრა, მამა მცემსო. დავიბარეთ მამა სკოლაში, ვესაუბრეთ, მასაც არ დაუმალავს ფაქტი, ეამაყებოდა კიდეც, რომ შვილს ფიზიკურად სჯიდა, საკუთარ ქცევაში უცნაურს ვერაფერს ხედავდა. მოზარდების ფსიქიკური აშლილობის ერთ-ერთი პრობლემა ეკონომიკური გაჭირვებაა. ბიჭმა, რომელმაც დახმარებისთვის მოგვმართა, მიამბო, თუ რა გაჭირვებაში ცხოვრობს მისი ოჯახი, მამა თამაშობს ტოტალიზატორში, როცა თანაკლასელები ერთობიან, მათთან ერთად ვერ ახერხებს ყოფნას, რასაც ძალიან განიცდის და შესაბამისად სტრესშია. დედა და მამა, გაჭირვების გამო, ხშირად ჩხუბობენ მისი თანდასწრებით. ასეთი შემთხვევაც გვქონდა, როცა დამრიგებელმა მოისმინა, მეხუთეკლასელი თანაკლასელს რომ ეუბნებოდა: ყელს გამოგჭრი, ნაწლავებს ამოგიბრუნებ და მაგ ნაწლავებს გაყურებინებო, ჯერ ბავშვს გავესაუბრეთ, მერე დავიბარეთ დედა, რომელმაც მითხრა, რომ მისი შვილი რაღაც თამაშებს თამაშობდა კომპიუტერში. ბიჭმაც აღიარა. როცა ინტერნეტში მოვიძიე თამაშის დასახელება, სიმართლე გითხრათ, იმდენად საშინელი თამაში იყო, ვერ ვუყურე. თუმცა, ქცევითი და ემოციური პრობლემების გამომწვევ ფაქტორად მარტო კომპიუტერს ვერ დავასახელებთ. ძალიან მნიშვნელოვანია აღზრდის მეთოდები. დაახლოებით რომ ითქვას, 30 მშობლიდან 20-მა არ იცის, როგორ აღზარდოს სწორად შვილი, ვერ ფლობს ქცევის მართვის სტრატეგიებს. ზოგადად, მშობლების ფსიქოგანათლება ძალიან დაბალ დონეზეა. ამ კუთხით მათთან მუშაობა, აუცილებლად უნდა დაიწყოს. მასწავლებლის ცნობიერება, კი ნამდვილად შეიცვალა, უმეტესობა კარგად ფლობს მოსწავლესთან მიდგომის უნარებს და არამდგრადი ემოციური სიტუაციების მართვაც შეუძლია“.

**თამარ კაპანაძე**, პირველი კლასიკური გიმნაზიის დირექტორი: „ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე ბავშვები სკოლაში, რა თქმა უნდა, გვყავს. ეს პრობლემა დაწყებითი კლასებიდანვე იჩენს თავს. განსაკუთრებით მე-5 კლასში იკვეთება, მოგეხსენებათ მათ ახალ გარემოსთან უწევთ შეგუება და ადაპტირებას რთულად გადიან. თუმცა, ყველანაირად ვცდილობთ, დროულად შევნიშნოთ და გამოვავლინოთ პრობლემა. ფსიქოლოგიურ ცენტრთან, რა თქმა უნდა, ვთანამშრომლობთ და ვამისამართებთ მათთან მსგავსი ტიპის მქონე ბავშვებს. პრობლემის გამომწვევი მიზეზი ძალიან ბევრია. როდესაც ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე ბავშვების ოჯახების კვლევა ტარდება, სამწუხაროდ, ეს პირდაპირ კორელაციაშია ოჯახში პრობლემებთან. ასეთი ბავშვი სტრესირებულია, არის უყურადღებოდ, მშობლებს მისთვის არ სცალიათ, ან ბევრი დედმამიშვილი ჰყავს, ან ხელმოკლე ოჯახიდანაა და ა.შ. ეს ყველაფერი გავლენას ახდენს ემოციურ ფონზე. საბედნიეროდ, ასოციალური ქცევის ბავშვი სკოლაში არ გვყავს. ძალიან დიდი პრობლემაა იდენტიფიცირება. რადგან ამ საკითხში ჩვენ არ ვართ კომპეტენტურები (არც მე და არც პედაგოგები), პრობლემის იდენტიფიცირებას ნაკლებად ვახდენთ, ვამბობთ, რომ არის ცელქი ბავშვი, დამშვიდდება, არადა ბავშვს რეალურად დახმარება სჭირდება. ჰიპერაქტიურობა, ყურადღების დეფიციტი, ეს ის სიმპტომებია, რომლებიც ქცევის პრობლემებს იწვევს. მანდატურის სამსახური დიდ დახმარებას გვიწევს მათ მოგვარებაში, თუმცა მანდატურები, ძირითადად, სკოლის უსაფრთხოებაზე არიან ორიენტირებულნი. ამიტომ მასწავლებლის, მშობლის და დამრიგებლის მუშაობა და ძალისხმევაა საჭირო, რათა ასეთი ქცევის ბავშვი ყურადღების მიღმა არ დარჩეს“.

**თამთა ნეკაშვილი**, პირველი კლასიკური გიმნაზიის ფსიქოლოგი: „ქცევითი და ემოციური პრობლემები გარდატეხის ასაკში უფრო ხშირად გვხვდება, განსაკუთრებით VII-VIII კლასებში. ამ პერიოდში უფრო მწვავდება მოზარდების ფსიქო-ემოციური მდგომარეობა: იქნება ეს შფოთვა, დაძაბულობა, დეპრესია თუ ა.შ. ამ საკითხებთან დაკავშირებით ერთობლივად ვმუშაობთ, მე როგორც სკოლის ფსიქოლოგი, დირექცია, მასწავლებლები და თავისთავად მშობლები. ქცევის პრობლემები, ცხადია, გვაქვს არა მარტო მოზარდებში, არამედ დაწყებით კლასებშიც. ვიცით, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვის ქცევის წამყვანი ფორმა თამაშია, როცა ბავშვი სკოლაში შემოდის, მას გარკვეული წესების დაცვა უხდება, უჭირს ახალ გარემოსთან შეგუება, თუნდაც 45 წუთი გაკვეთილზე, მერხთან ჯდომა. ამის გამო შესაძლებელია, გარკვეულმა ქცევითმა გადახრებმა იჩინოს თავი. თუმცა, ეს დროებითია. გარემოსთან ადაპტაციის შემდეგ პრობლემებიც იკლებს. მნიშვნელოვანია, მასწავლებელი იყოს ინფორმირებული, იცოდეს რა გააკეთოს ასეთ შემთხვევაში, როგორ მოიქცეს. როცა ბავშვს ქცევითი და ემოციური პრობლემები აქვს და მისი ქცევით გაკვეთილის მსვლელობას ხელი ეშლება, რა თქმა უნდა, ის თავად არ მოდის ჩვენთან, დასახმარებლად მოგვმართავს პედაგოგი. ხოლო როცა მოსწავლე კარგად არ გრძნობს თავს, აწუხებს შფოთვა, დეპრესია, ასეთ შემთხვევაში, თვითონ ბავშვი მოგვმართავს. ქცევითი პრობლემები გვხვდება როგორც გოგონებში, ისე ბიჭებში. პრობლემის გამომწვევი უამრავი ფაქტორი არსებობს. ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე, ბავშვების ქცევაზე გავლენას ახდენს გარემო, ოჯახი, სამეგობრო წრე, კლასი, სკოლა. ქცევა გადმოტანილია იმ გარემოდან, სადაც ცხოვრობს, მაგალითად, ძალადობის ფაქტს შეიძლება ხედავდეს ოჯახში. ხშირად ქცევა უვითარდებათ დაკვირვების გზით, სწავლობენ ოჯახში, ქუჩაში, კომპიუტერულ თამაშებში... ნებისმიერ ადგილას და ხდებიან მიმბაძველები. ფსიქოლოგიაში ცნობილია, რომ ყოველი ბავშვი დაისწავლის იმას, რასაც ხედავს“.

პრობლემები შეიძლება დაიწყოს ადრეული ბავშვობის პერიოდში. ადრეული ტრავმული გამოცდილება, რომელიც ბავშვმა შეიძლება ოჯახში, საბავშვო ბაღში მიიღოს, შესაძლოა გახდეს ემოციური პრობლემების გამომწვევი მიზეზი, რაც ვლინდება სასკოლო შფოთვაში. შეიძლება ბავშვი თავს არიდებდეს კლასის წინ გამოსვლას, პრეზენტაციის გაკეთებას, ჰქონდეს წარუმატებლობის შიში – ასეთი პრობლემები ძალიან ხშირად გვხვდება ბავშვებში, რასაც მივყავართ დაბალ აკადემიურ მოსწრებამდე. მნიშვნელოვანია, რომ ფსიქოლოგიური მუშაობა საბავშვო ბაღიდან დაიწყოს, რათა არ ჩამოუყალიბდეთ რაიმე სახის ემოციური პრობლემა, რაც მოზრდილობის ასაკში ხელს შეუშლით გახდნენ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს სკოლაში წლებია მუშაობს ფსიქოლოგი და მშობლებმა კარგად იციან მისი ფუნქციების შესახებ, როცა ასეთ პრობლემასთან გვაქვს საქმე, რატომღაც, უჭირთ მისი გააზრება. პირველი რეაქცია მათი მხრიდან არის უარყოფა, არ სჯერათ, რომ მათი შვილი ასე იქცეოდა და იწყება სხვაზე გადაბრალება. თუმცა, როცა მათ ესაუბრება სკოლის ფსიქოლოგი, მასწავლებელი, დირექტორი, ნელ-ნელა ხვდებიან, რომ მათ შვილშიც არის პრობლემა და მხოლოდ ამის შემდეგ იწყება მის მოსაგვარებლად მუშაობა.

რა თქმა უნდა, ფსიქოლოგიურ ცენტრს მივმართავ ხოლმე დახმარებისთვის. ჩემი უპირველესი მოვალეობა სსსმ მოსწავლეებთან (ასეთი სკოლაში სულ 12 ბავშვია) ინდივიდუალურ პროგრამაზე მუშაობაა. როცა სხვა პრობლემები იჩენს თავს, თუნდაც ქცევითი და ემოციური, ასეთ ბავშვებს პირველადი შეფასებისა და კონსულტირების შემდეგ ვამისამართებთ ფსიქოლოგიურ ცენტრში. სკოლის გარემოში, ცხადია, მათ ვერ გავუწევთ ფსიქოთერაპიულ მომსახურებას“.

**ნათია ლოლაშვილი-მერებაშვილი,** თბილისის მე-4 საჯარო სკოლის დირექტორი: „ზოგადად ქცევითი და ემოციური პრობლემები მოსწავლეებში მეტ-ნაკლებად გამოხატულია და ამას ვაღიარებთ კიდეც. ვერ ვიტყვი, რომ მდგომარეობა მძიმეა, თუმცა სკოლაში გვქონდა რამდენიმე შემთხვევა.

მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური ცენტრის მომსახურება მხოლოდ ერთხელ დაგვჭირდა. ასეთი შემთხვევა საბაზო საფეხურის მოსწავლესთან გვქონდა. ძირითადად, მისი ქცევითი და ემოციური პრობლემა გამოიხატებოდა გაკვეთილის ჩაშლის მცდელობაში, რომელიც არ იყო მიმართული მხოლოდ ერთი პედაგოგის მიმართ. როცა ამ ბავშვის მდგომარეობით დავინტერესდით, აღმოჩნდა, რომ მისი ქცევა გამოწვეული იყო ოჯახის ფაქტორით. გაკვეთილის ჩაშლის მცდელობის გარდა, მოზარდი აგრესიას ავლენდა თანაკლასელების მიმართაც. მას ჰქონდა ძალისმიერი მეთოდების გამოყენების, ძალის დემონსტრირების სურვილი, იყო კონფლიქტური თანაკლასელებთან. რა თქმა უნდა, მშობელი ჩავაყენეთ საქმის კურსში, რომელიც დაგვეთანხმდა და მიმართეს ფსიქოლოგიურ ცენტრს. მას დინამიკაში ვაკვირდებით, შედეგები საგრძნობლად შესამჩნევია. რაც მთავარია, მოსწავლემ იგრძნო თანადგომა და სიყვარული.

აღსანიშნავია, რომ ასეთ შემთხვევებში მშობლები მოდიან თანამშრომლობაზე, ისინი შეგნებით, გაგებით ეკიდებიან შვილთან დაკავშირებულ პრობლემას, გვეხმარებიან მის მოგვარებაში. თუმცა, ისეც ხდება, რომ მშობელს დასარწმუნებლად მეტი დრო გვჭირდება.

რაც შეეხება ბულინგის თემას, მეტ-ნაკლებად, ეს პრობლემაც არსებობს სკოლაში. ამიტომაც ვცდილობთ მოსწავლეები სხვადასხვა აქტივობებში ჩავრთოთ, ამ თემაზე ხშირად ვესაუბრებით, რომ ავამაღლოთ მათი ცნობიერება.

სამწუხაროდ, სკოლაში არ გვყავს ფსიქოლოგი. თუმცა, საბედნიეროდ, რთული შემთხვევებიც არ გამოვლენილა. ვიცით, რომ საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია, დახმარებისთვის ფსიქოლოგიურ ცენტრს მივმართოთ.

სკოლაში 940 მოსწავლეა, სკოლის უსაფრთხოებაზე სამი მანდატური ზრუნავს. ისინი ძალიან დიდ დახმარებას გვიწევენ, შესწავლილი ჰყავთ თითოეული მოსწავლე და გვეხმარებიან პრობლემების გამოვლენასა და მოგვარებაში“.

## პედაგოგთა დასახმარებლად

*სამოქალაქო განათლება*

# ნაფიც მსაჯულთა სასამართლო



მარინე დემეტრაშვილი

### გაკვეთილის მიზნები

გაკვეთილის შემდეგ მოსწავლეები შეძლებენ:

• გაიგონ რა არის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დანიშნულება

• განასხვავონ ის სხვა სასამართლო პროცესებისგან

• იმსჯელონ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საჭიროებაზე და ნაფიცი მსაჯულების პასუხისმგებლობის მაღალ ხარისხზე.

### გაკვეთილის გეგმა

• გონებრივი იერიში;

• განმარტება;

• ფილმის ჩვენება (თორმეტი განრისხებული მამაკაცი);

• დისკუსია;

• გაკვეთილის შეჯამება.

### გაკვეთილის მსვლელობა

**1. დავუსვათ მოსწავლეებს კითხვები:**

რა არის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო?

რისთვის არსებობს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო?

რით განსხვავდება ის სხვა სასამართლო პროცესებისგან?

**2. მოსწავლეებს განვუმარტოთ:**

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოში 2010 წლიდან ამოქმედდა და ის წმინდა კლასიკური, ამერიკულ-ინგლისური მოდელით მუშაობს. ამ მოდელის პრინციპი ასეთია – 12-ს (ნაფიც მსაჯულთა ჟიურის) პლუს ერთი (მოსამართლე). უფრო მარტივად კი, ნაფიც მსაჯულთა 12-კაციანი ჟიური გამოაცხადებს ვერდიქტს – დამნაშავეა თუ უდანაშაულო ადამიანი, რომლის საფუძველზეც, მოსამართლე კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოიტანს განაჩენს.

ნაფიც მსაჯულად შეირჩევა პირი, თუ იგი შეყვანილია ამომრჩეველთა ერთიან საარჩევნო სიაში, ფლობს სისხლის სამართლის პროცესის ენას, ცხოვრობს ტერიტორიაზე, რომელიც შედის იმ სასამართლოს განსჯადობაში, სადაც მიმდინარეობს პროცესი და არ არის უნარშეზღუდული.

ნაფიცი მსაჯული ვერ გახდება პირი, თუ ის ნასამართლევია. ნაფიცი მსაჯული არ შეიძლება იყოს ასევე სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირი, პროკურორი, იუსტიციის ან შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი. ნაფიცი მსაჯული ვერ გახდება სასულიერო პირი, ფსიქოლოგი, ფსიქიატრი და იურისტი, ასევე, ის პირი, ვინც ირიცხება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი თავდაპირველად ინგლისში ჩამოყალიბდა. მაშინ მსაჯულები მხოლოდ დანაშაულის შემსწრე ადამიანები ხდებოდნენ. XV საუკუნეში ნაფიც მსაჯულთა ჟიური უკვე მართლმსაჯულების განხორციელების მთავარი შემადგენელი ნაწილი გახდა და ნაფიცი მსაჯული შეიძლებოდა ყოფილიყო ნებისმიერი სრულფასოვანი ადამიანი.

დიდი ბრიტანეთის შემდეგ, ნაფიც მსაჯულთა ჟიურის ინსტიტუტი დამკვიდრდა აზიაში, აფრიკაში, ამერიკაში. საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ კი – საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, შვეიცარიასა და რუსეთში.

საფრანგეთში, ნაპოლეონ ბონაპარტის დამსახურებით, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი სახალხო ხელისუფლების სიმბოლო გახდა. იმ ქვეყნებში, სადაც ნაფიცი მსაჯულების სასამართლოს ტრადიცია საფრანგეთიდან გავრცელდა, მსაჯულები თავდაპირველად, მხოლოდ ისეთი ტიპის საქმის განხილვაში მონაწილეობდნენ, როგორიცაა პოლიტიკური დანაშაული და სახელმწიფო ღალატი.

დღეისათვის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ყველაზე მეტად წარმატებულად ამერიკის შეერთებულ შტატებში ფუნქციონირებს.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, ამჟამინდელი, თანამედროვე მოდელისგან განსხვავებული სტილით – ნაფიც ვექილთა საბჭოს სტატუსით, 1919-1921 წლებში საქართველოშიც მოქმედებდა. იმდროინდელ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რუბრიკა „სასამართლოში“ სისტემატურად აქვეყნებდა ინფორმაციებს ნაფიც მსაჯულთა საბჭოს საქმიანობის თაობაზე.

გახმაურებული საქმე, რომელიც 1920 წლის 3 მარტს სასამართლომ ნაფიც მსაჯულთა საბჭოს მონაწილეობით განიხილა, იყო სახელმწიფო თეატრის დირიჟორ სამუელ სტოლერმანის საქმე, რომელსაც ბრალად მეუღლის, ალექსანდრას მკვლელობა ედებოდა. ნაფიცმა მსაჯულებმა მუსიკოსი გაამართლეს.

**3. ფილმის ჩვენება.**

**4. დისკუსია**

სთხოვეთ მოსწავლეებს, გამოთქვან საკუთარი აზრი და მიიღონ მონაწილეობა დისკუსიაში:

საჭიროა თუ არა ქვეყანაში ნაფიცი მსაჯულის ინსტიტუტი?

რა უპირატესობები და ნაკლოვანებები აქვს მას?

### გაკვეთილის შეჯამება

შეაჯამეთ გაკვეთილი და ჰკითხეთ მოსწავლეებს:

– რა იყო მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამ გაკვეთილზე?

– ხომ არ შეიცვალა მათი წარმოდგენები გაკვეთილზე მიღებული ინფორმაციის გავლენით?

– რა მნიშვნელობა აქვს მათთვის გაკვეთილზე მიღებულ ინფორმაციას და რაში შეძლებენ გამოიყენონ?

საპილოტე პროექტი

# დისტანციური გაკვეთილი მინიმალური უნარებით და ეფექტური შედეგით

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

***მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროექტი „ქართული ენის დისტანციური საპილოტე კურსი“, ძალიან მალე ხელმისაწვდომი გახდება უცხოეთში მცხოვრები ქართველი მოსწავლეებისთვის. პროგრამა უახლეს დიდაქტიკურ პრინციპებზე დაყრდნობით იმუშავებს და, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით, ხელმისაწვდომი იქნება უცხოეთში მცხოვრები მოზარდი თაობისთვის, ეროვნული იდენტობის შენარჩუნების მიზნით. პროექტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და კომპანია „Microsoft-საქართველო“ მხარდაჭერით, ხორციელდება.***

***რა უნარებზეა გათვლილი და როგორ წარიმართება Live Stream გაკვეთილები, ამის შესახებ გვესაუბრება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტების განვითარებისა და დანერგვის სამსახურის უფროსი მარიკა სიხარულიძე:***



– ინიციატივა დიასპორის საკითხების სახელმწიფო აპარატიდან წამოვიდა, მის განხორციელებას ბატონი ალექსანდრე ჯეჯელვა თაოსნობს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, პირადად მინისტრის დავალებით, ვახორციელებთ საპილოტე პროექტს, რომელიც უცხოეთში მცხოვრები ბავშვებისთვის, კერძოდ, ამ ეტაპზე, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის ქართული ენის დისტანციურ რეჟიმში სწავლებას გულისხმობს. ორთვიანი, მოკლე საპილოტე პროექტი, სამინისტროს ხელმძღვანელობით, „Microsoft-საქართველოს“ და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან თანამშრომლობით წარიმართება. დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ახლა უკვე საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტი, დაგვიზუსტებს და მოგვაწვდის უცხოეთში მცხოვრები იმ მოსწავლეების სიას, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს, ჩაერთონ საპილოტე პროექტში. ამ ეტაპზე, პროექტისთვის შერჩეული გვყავს 5 მასწავლებელი (ქართულისა და ქართული, როგორც მეორე ენის პედაგოგები), რომლებისთვისაც ვორქშოფი ჩატარდა. კონკურსის წესით შერჩეული მასწავლებლები სემინარზე დისტანციური კურსისთვის საჭირო ტექნოლოგიებს გაეცნენ, მიიღეს ინფორმაცია იმ რესურსის გამოყენების შესახებ, რომლის საშუალებითაც ჩატარდება დისტანციური გაკვეთილები – ეს რესურსია „მაიკროსოფტ კლასრუმი“, რომელიც ამ პროექტისთვის დაგვითმო „Microsoft-საქართველომ“.

პროექტის უშუალო განმახორციელებელი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრია. სწორედ ჩვენგან მოხდება Live Stream გაკვეთილებში მასწავლებლებისა და ბრიტანეთში შერჩეული მოსწავლეების ჩართვა. ერთობლივად მოვსინჯავთ, საპილოტე რეჟიმში, როგორ იმუშავებს ეს ყველაფერი. შემდეგ კი, გაკეთდება საპილოტე პროექტის ანალიზი, რომლის გათვალისწინებით, უფრო მასშტაბური და დატვირთული სახე მიეცემა. დეკემბრის ბოლომდე ვაპირებთ საცდელი გაკვეთილების ჩატარებას. მალე მასწავლებლებისთვის გამართულ ვორქშოპებსაც დავასრულებთ, რომლის შემდეგაც საბოლოოდ გამოიკვეთება პირდაპირი გაკვეთილებისთვის მათი მზაობა. სავარაუდოდ, 5 დეკემბრისთვის, ვეცდებით, პირველი ონლაინ გაკვეთილი ჩავატაროთ.

**– როგორ შეარჩიეთ ის 5 მასწავლებელი, რომელიც საპილოტე პროექტს განახორციელებს და, პრაქტიკულად, პროგრამის მომავალს განსაზღვრავს. ვინ არიან ეს პედაგოგები – თბილისის თუ რეგიონის მასწავლებლები?**

– არც ერთი მათგანი არ არის თბილისის სკოლის პედაგოგი. მასწავლებელთა შესარჩევად ღია კონკურსი გამოვაცხადეთ და პროექტში მონაწილეობის მსურველთა ათეული განაცხადი მივიღეთ. შემდეგ მათგან ის პედაგოგები ავარჩიეთ, რომლებსაც IT უნარები უფრო ძლიერი ჰქონდათ და, ამასთანავე – ამ ტიპის რესურსებთან ურთიერთობის გარკვეული გამოცდილება. სულ ხუთი მასწავლებელი შევარჩიეთ და არც ერთი მათგანი არ აღმოჩნდა თბილისის სკოლებიდან. ძალიან სასიამოვნოდ განცვიფრებულები ვიყავით იმით, რომ რეგიონის მასწავლებლებისგან წამოვიდა ასეთი მონდომება და აქტიურობა. პროექტის მონაწილეთა შორის, უფრო მეტნი აღმოჩნდნენ რუსთავისა და გორის პედაგოგები და ერთი მასწავლებელი – ახალციხიდან. საკმაოდ მოტივირებული ახალგაზრდა ქალბატონები არიან და მათი ძლიერი მხარე, როგორც გითხარით, აიტი უნარების ფლობაა.

**– საპილოტე პროექტისთვის მხოლოდ ხუთი მასწავლებელი იყო გათვალისწინებული, თუ ამჯერად მეტი არ შეირჩა?**

დიახ, გადავწყვიტეთ მცირე რაოდენობის მასწავლებლით დაგვეწყო. თუმცა, 5-მასწავლებლიანმა საპილოტე ჯგუფმა სინამდვილეში უნდა შეძლოს, 30-დან 40 მოსწავლემდე დაფარვა. დასაწყისისთვის ეს ცოტა არ არის.

**– რატომ შეირჩა მხოლოდ ბრიტანეთში მცხოვრები მოსწავლეები?**

– ბრიტანეთში მცხოვრები მოსწავლეები იმიტომ ავირჩიეთ, რომ, ამ შემთხვევაში, უპირატესობა მივანიჭეთ მასწავლებლების მხრიდან ინგლისური ენის გარკვეულ დონეზე ცოდნას. მათთვის ეს იმ თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია, რომ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს უნდა ასწავლონ (გათვალისწინებული გვყავს 7-დან 12 წლამდე ბავშვები. ჯგუფები ამ დღეებში დაკომპლექტდება და მასწავლებლებს დისტანციურ კლასებს გავუნაწილებთ). ამასთან ერთად, ხშირ შემთხვევაში, ისინი ნულოვანი კომპეტენციის არიან (ქართული ენის ფლობის დონეს ვგულისხმობ) ან იციან ძალიან ყოფითი ქართული, რასაც ენის ცოდნას ვერ დავარქმევთ. შესაბამისად, ნულოვანი დონით ვიწყებთ.

კიდევ ერთი მიზეზი, რატომ ავირჩიეთ ბრიტანეთში მცხოვრები ქართველი ბავშვები, როგორც გითხარით, ისიც გახლავთ, რომ ჩვენმა მასწავლებლებმა მეტ-ნაკლებად იციან ინგლისური ენა. ამიტომ მათთვის ინგლისურენოვანი ბავშვები შევარჩიეთ, გაკვეთილზე რაიმე პრობლემის წარმოშობის შემთხვევაში, ინგლისური ენა რომ გამოიყენონ. თუმცა, ყველანაირად ვეცდებით, რომ გაკვეთილი ერთენოვანი იყოს და ქართულ ფორმატში წარიმართოს. იმ შემთხვევაში, თუკი რაიმე ტექნიკური ხარვეზი ან გაუგებრობა წარმოიქმნება, რამაც შეიძლება მოსწავლეების მოტივაცია დააგდოს, მასწავლებლები შეძლებენ, მათ ინგლისურ ენაზე დაეხმარონ. მოგეხსენებათ, რომ ეს პირდაპირი ფორმატია და ასეთი შემთხვევებისგან დაზღვეული არავინაა.

**– რას გვეტყვით სასწავლო პროგრამაზე, სპეციალურად ამ პროექტისთვის შეიქმნა?**

– დისტანციური სწავლების პროგრამა „ქართული როგორც მეორე ენის“ პროგრამას ეფუძნება და მას ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის ექსპერტი მაია მელიქიძე თაოსნობს. სწორედ მან მოარგო ქართული ენის ფლობის დონე უშუალოდ ამ პროგრამას. მეთოდიკის ნაწილს კი ჩვენ, ცენტრის ექსპერტები განვსაზღვრავთ. „Microsoft-საქართველო“ ონლაინ საკლასო ოთახს გვთავაზობს, სადაც, ერთდროულად, ჩაერთვებიან მასწავლებლები და მოსწავლეები. მათ სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალება აქვთ – ხედავენ და ესმით ერთმანეთის. გარდა ამისა, ამ რესურსს არ აქვს მასალების ატვირთვისა თუ პრეზენტაციების გაშვების პრობლემა, ყოველმხრივი კომუნიკაციის საშუალებას იძლევა.

**– რა ინტენსივობით და ხანგრძლივობით ჩატარდება დისტანციური გაკვეთილები?**

– საპილოტე რეჟიმში თითოეული მასწავლებელი, მაქსიმუმ, 5 გაკვეთილს ჩაატარებს. ეს ყველაფერი 25 დეკემბრამდე, ბრიტანეთში საშობაო არდადეგების დაწყებამდე, უნდა მოვასწროთ. ახალ წლამდე, თვის ბოლოსთვის კი, უკვე მზად გვექნება საპილოტე პროექტის ანალიზი. დისტანციური ფორმატისა და ბავშვების ასაკის გათვალისწინებით, რადგან მოსწავლეები პატარა ასაკის არიან და, ზოგადად, ზრდასრული ადამიანისთვისაც რთულია ამ რეჟიმში მუშაობა, გადავწყვიტეთ, დისტანციური გაკვეთილის ხანგრძლივობა 15 წუთით განისაზღვროს. კიდევ ვიმეორებ, ამით პატარებში გადატვირთვით გამოწვეულ ჯანმრთელობის პრობლემებს გამოვრიცხავთ. ეს არ იქნება ჩვეულებრივი გაკვეთილის არც ფორმატი და არც ხანგრძლივობა, წარმოუდგენელია ის 40-45 წუთი გაგრძელდეს. თუმცა, ეს რომ სალექციო ტიპის გაკვეთილი იყოს, შესაძლებელია მას მოუსმინოს მოსწავლემ, მაგრამ რადგან ძალიან დატვირთული იქნება როგორც ვიზუალური, ისე აუდიო მხარე, არ არის მიზანშეწონილი, აქტიური, ცოცხალი, საკომუნიკაციო ტიპის პატარა ფორმატის გაკვეთილი ამაზე დიდხანს გაგრძელდეს.

**– რა უნარებზეა გათვლილი დისტანციური გაკვეთილი და რა შედეგებს ელით?**

– დისტანციური გაკვეთილი მინიმალურ უნარებსა და ეფექტურ შედეგებზეა გათვლილი და ოთხივე საკომუნიკაციო ფაზას მოიცავს – მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი და წერა. თუმცა, უფრო მეტად ყურადღება გამახვილებულია რეცეფციულ უნარებზე – მოსმენა და კითხვა. მოგეხსენებათ, საერთაშორისო ენის ფლობის დონის მიხედვით, A1 დონე პირველ საფეხურად მიიჩნევა, რეცეფციული უნარების გასავითარებლად კი ყველაზე დიდი დოზით მოსმენა გამოიყენება. აქედან გამომდინარე, ბავშვები უფრო ბევრს მოისმენენ, რაშიც უდიდესი როლი მასწავლებლის მიერ შეთავაზებულ აუდიო თუ ვიზუალურ მასალას მიენიჭება. ყურადღება გამახვილდება რეპეტიტორულ უნარებზეც – იმის გამეორებაზე, რაც მათ მოისმინეს.

**– მოხდება თუ არა ბავშვების შეფასება?**

– შეფასების ნაწილში, ვფიქრობთ, რომ უფრო აქტიური იყოს განმავითარებელი შეფასებები, რადგან ეს არ არის ფორმალური განათლების ნაწილი, სადაც მოსწავლეები ქულებით ფასდებიან. გვინდა, ისინი მაქსიმალურად მოტივირებული გავხადოთ, თუმცა, განმავითარებელი სახის შეფასება, თავისთავად, აუცილებელია თუნდაც იმისთვის, რომ აღმოვფხვრათ ხარვეზები, რომლებიც მოსწავლეებს წინა გაკვეთილებზე ჰქონდათ. მათი გათვალისწინებით კი, გაკვეთილზე ბავშვმა უნდა შეძლოს იმის გაკეთება, რაც მანამდე ვერ მოახერხა.

**– როგორც მინისტრმა განაცხადა, დისტანციური გაკვეთილები გახდება ერთ-ერთი დამატებითი აქტივობა, სქემით განსაზღვრულ აქტივობებს შორის, რომელიც მასწავლებელს კრედიტ-ქულით შეუფასდება. საინტერესოა, როგორ მოხდება პედაგოგების შეფასება?**

– მასწავლებლის შეფასება პროექტის საპილოტე რეჟიმში, ამ ეტაპზე მხოლოდ დაკვირვების საფუძველზე მოხდება. მაგრამ, როცა პროექტი ოფიციალურ სახეს მიიღებს, შევაფასებთ როგორც მოცემულობას, ისე მის შედეგებს – მოსწავლეთა შედეგებს, მათი ჩართულობის ხარისხს, მოტივაციას. მშობლებისთვის აუცილებლად გვექნება სპეციალური კითხვარი, მათი აზრი უმნიშვნელოვანესია, რადგან, ამ შემთხვევაში, სწორედ ისინი არიან დამკვეთები. მათ სურთ, ამ გაკეთილებით შვილებმა ქართული იდენტობა შეინარჩუნონ. აბსოლუტურად ვეთანხმებით დიასპორის წარმომადგენლებს, ინიციატორებს, რომ ეს მართლაც საშვილიშვილო საქმეა. ძალიან ბევრი, ათასობით ქართველი ცხოვრობს საქართველოს საზღვრებს გარეთ და, სურვილის შემთხვევაში, მათ შვილებს ჩვენ ქართული ენის შესწავლაში დავეხმარებით.

რაც შეეხება კრედიტ-ქულებს, საპილოტე პროექტით მასწავლებლებს ვერ მივანიჭებთ, რადგანაც მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში იქნებიან პროექტში ჩართულები, თუმცა სამომავლოდ დისტანციური გაკვეთილები აუცილებლად აისახება პროფესიული განვითარების სქემაში, რისთვისაც შესაბამისი მასწავლებლები მიიღებენ ხოლმე კრედიტ-ქულებს. ძალიან მოტივირებული და მონდომებული მასწავლებლები შევარჩიეთ, ამ საქმიანობაში ხელფასს გადავუხდით და ეს გამოცდილება მათ რეზიუმეშიც აუცილებლად აისახება.



ესაუბრა ლალი ჯელაძე

# რუქნადინის დამარცხება

*დასასრული. დასაწყისი იხ. №36*

**პედაგოგი:** ლელა გოგინაშვილი
**სკოლა:** სკრის საჯარო სკოლა
**საგანი**: ქართული ენა და ლიტერატურა
**კლასი**: მესამე
**გაკვეთილის თემა**: რუქნადინის დამარცხება

## გაკვეთილი მეორე

**აქტივობა 1 (4 წთ) – საშინაო დავალების განხილვა**

მოსწავლეები წყვილებში განიხილავენ ერთმანეთის საშინაო დავალებას. ბოლოს ერთ-ერთი მოსწავლე დაფასთან გააკეთებს დასკვნას.

**აქტივობა 2 (4წთ) – ვიდეოფილმის ჩვენება**

ინფორმაციის სიღრმისეულად გააზრებისა და მედიაწიგნიერების განვითარების მიზნით, მოსწავლეებს ბუკებში კლასის მართვის პროგრამაში, ეკრანის გაზიარებით, ვაჩვენე 3-წუთიანი ვიდეოფილმი „ბასიანის ბრძოლა“ (https://www.youtube.com/watch?v=UF9dxU0JfkE), რომელიც ჩამოვტვირთე YouTube-დან. ფილმი განთავსებული იყო YouTube-ზე, 2013 წლის 12 აპრილს, ცენტრ „მადაგასკარის“ მიერ. ეს ფილმი გახლავთ ისტორიული ფილმების სერიიდან, სახელწოდებით „ზღაპრად თქმული ისტორია“.

*ფილმში გამოყენებულია ბრძოლის ამსახველი კადრები, რუკები, ჯარის განლაგების სქემა, თამარ მეფის სურათები, ისტორიული ფაქტები, მოსაზრებები და მოვლენები ბასიანის ბრძოლის შესახებ. მთხრობელი საინტერესოდ გადმოსცემს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე ოდითგანვე ქართველური ტომები, ლაზები სახლობდნენ. ეს ტერიტორია დიდი ხნით ბიზანტიის იმპერიას ჰქონდა დაპყრობილი. თამარ მეფეს სურდა, წართმეული ტერიტორიები კვლავ საქართველოსთვის დაებრუნებინა. ქართული სამეფოს მისწრაფებას, ამ მიმართულებით, წინ ეღობებოდა როგორც ბიზანტიის იმპერია, ასევე რუმის სასულთნო. მის მბრძანებელს, რუქნადინს, უნდოდა საქართველოს ხელში ჩაგდება. შეკრიბა ჯარი და საქართველოსკენ გამოეშურა, თან მუქარით სავსე წერილი გამოუგზავნა თამარ მეფეს და დამორჩილება უბრძანა. თურქეთის ლაშქარი ბასიანში დაბანაკდა. რუქნადინის საპასუხოდ თამარმა სასწრაფოდ შეკრიბა ლაშქარი, ვარძიამდე მიაცილა და დალოცა. ბრძოლა გაიმართა 1202 წელს ბასიანში. ქართველთა ჯარის საერთო ხელმძღვანელი დავით სოსლანი იყო. ქართველები მტერს მოულოდნელად დაესხნენ თავს. მოულოდნელმა თავდასხმამ სელჩუკთა ლაშქარში დიდი არევ-დარევა გამოიწვია. ქართველთა მეწინავე რაზმმა ურიცხვი მტერი ვეღარ შეაკავა და უკან დაიხია. რუქნადინს ბრძოლა მოგებული ეგონა. ამ დროს დავით სოსლანმა სამხედრო ხერხს მიმართა და მტერს ორმხრივი დარტყმა მიაყენა. მტერმა ვეღარ გაუძლო ორმხრივ შეტევას და უკან დაიხია. სულთანის ყველაზე დიდ სამხედრო ძალაზე გამარჯვებამ საქართველო აღმოსავლეთში უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია.*

**აქტივობა 3 (8 წთ) კითხვა-პასუხის მეთოდის გამოყენებით განიხილავენ ვიდეოფილმს.**

| კითხვა | სავარაუდო პასუხი |
|---|---|
| ვინ არის ვიდეოს ავტორი? საიდან მიხვდით? | ვიდეოს ავტორი ცნობილი არ არის, ფილმის ბოლოს არაა ტიტრები, სადაც იქნებოდა ინფორმაცია ავტორზე. |
| რა იყო მისი შექმნის მიზანი? | ჩვენთვის ბასიანის ბრძოლის შესახებ უფრო ცხადი და ნათელი ინფორმაციის მოწოდება, რომელიც ანალიზში დაგვეხმარება. |
| ვინ შეიძლება ისარგებლოს ამ ფილმით? | ფილმით შეიძლება ისარგებლოს ყველა დაინტერესებულმა ადამიანმა. |
| რატომაა ეს ფილმი თქვენთვის მნიშვნელოვანი? | ინფორმაცია მივიღეთ ისტორიული ფაქტების და მოვლენების შესახებ. |
| სასარგებლო იყო თუ არა ამ ფილმის ჩვენება თქვენთვის? რატომ? | სასარგებლო იყო იმიტომ, რომ უფრო კარგად გავიგე, თუ როგორ სძლია ქართველთა 90-ათასიანმა რაზმმა მტრის 400000-იან ლაშქარს. |
| რის შესახებაა ეს ფილმი? | ეს ფილმი მოგვითხრობს ბასიანის ბრძოლის შესახებ. |
| რა ინფორმაცია ჩანს ამ ფილმში? | ფილმში ჩანს საქართველოს მაშინდელი მდგომარეობა, ბრძოლა ძლიერი მტრის წინააღმდეგ და ბრწყინვალე გამარჯვება |
| რა არის ისეთი ფილმში, რის შესახებაც ვერ ნახეთ ინფორმაცია ბეჭდურ მედიაში? | ფილმში დაწვრილებითაა აღწერილი სამხედრო სტრატეგია. ბეჭდურ მედიაში არ ჩანს, სად გაიქცა რუქნადინი. |
| თქვენი აზრით, რამდენად სანდოა საინფორმაციო წყარო? | ვფიქრობ, რომ სანდოა, რადგან ფილმში გამოყენებული ფაქტები და მოვლენები დაემთხვა სახელმძღვანელოში მოცემულ და ისტორიულ სტატიაში მოყვანილ ფაქტებს და მოვლენებს. |
| თუ იყო ორივე წყაროში წარმოდგენილი ერთი და იგივე ფაქტი განსხვავებულად გადმოცემული? | დიახ, იყო: სახელმძღვანელოში ეწერა, რომ ბასიანის ბრძოლა ჩატარდა 1203 წელს, ფილმში კი 1202 წელია მოხსენებული. სტატიაში წერია, რომ რუქნადინი დაიჭრა, ფილმში კი არაფერს ამბობენ ამ ფაქტთან დაკავშირებით. |
| სად და როგორ იქნა გაზიარებული საზოგადოებისთვის? | ფილმი ატვირთული და გაზიარებულია ვიდეოპორტალ YouTube-ზე 2013 წლის 12 აპრილს. |

**აქტივობა 4 (3 წთ) დააკავშირე – დიფერენცირებული სავარჯიშოები მთელი კლასისთვის**

შედარებით სუსტმა მოსწავლეებმა უნდა დააკავშირონ ერთმანეთთან მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები, შედარებით ძლიერებმა კი უნდა დააკავშირონ მიზეზი შედეგთან.

გთავაზობთ სავარჯიშოების ნიმუშს:

**დააკავშირე მიზეზი შედეგთან**

| | |
|---|---|
| რუქნადინმა წინასწარ გამოუგზავნა თამარს მუქარით სავსე ბარათი | რადგან რუმის სასულთნოს მბრძანებლისაგან მიიღო მუქარისთ სავსე წერილი |
| თამარ მეფემ ჯარი შეკრიბა და მტრის შესაგებებლად გაგზავნა | რადგან ქართველთა ლაშქარმა მოულოდნელი და ძლიერი დარტყმა მიაყენამას. |
| | რადგან ქართველებმა თავიდანვე მიაყენეს ძლიერი დარტყმა |
| თურქების უზარმაზარი ლაშქარი დაიბნა, დაიქსაქსა, პირი იბრუნა და გაიქცა | რადგან დარწმუნებულიიყო, რომ თამარ მეფე ვერ გაბედავდა მის ლაშქართან შებმას და უბრძოლველად დანებდებოდა მას. |

დააკავშირე მსგავსი შინაარსის სიტყვები

| | |
|---|---|
| თავგანწირული | სახელოვანი |
| ძლევამოსილი | უთვალავი |
| ურიცხვი | თავდადებული |
| სახელგანთქმული | ძლიერი |
| მუსრავდა | დაიფანტა ცნობილი |
| დაიქსაქსა | ანადგურებდა |

**აქტივობა 6 (20 წთ) ჯგუფური მუშაობა.**

თემაზე „რუქნადინის დამარცხება“ მოსწავლეთა ჯგუფებს ვთავაზობ მუშაობას შემდეგი მიმართულებებით:

- პრეზენტაციის აწყობა პროგრამა „power point“-ში;
- საგაზეთო სტატიის დაწერა;
- კომიქსების გაკეთება.

სამივე ჯგუფი ირჩევს სლაიდებზე პრეზენტაციის მომზადებას. ჯგუფის ლიდერები წარადგენენ ნამუშევრებს ბუკებში კლასის მართვის პროგრამის საშუალებით (მათ ბუკებში ჰქონდათ პრეზენტაციისთვის საჭირო სურათები, რომელთა მოძიებაც დავალებული ჰქონდათ წინასწარ).

**აქტივობა 7 (3 წთ) ურთიერთშეფასება**

მოსწავლეებს ვაცნობ პრეზენტაციის შეფასების რუბრიკას. ისინი ვერბალურად აფასებენ ერთმანეთის პრეზენტაციებს.

**აქტივობა 8 (2 წთ) საშინაო დავალება**

მოსწავლეებმა თავი უნდა წარმოიდგინონ ჟურნალისტის როლში და ბუკებში ვებკამერის გამოყენებით მოამზადონ 3-წუთიანი რეპორტაჟი იმაზე, თუ როგორ გააცნობენ ამ ამბავს საზოგადოებას.

***სწავლის შედეგები***

მოსწავლეები შეძლებენ მონაწილეობას ჯგუფურ აქტივობებში. თემის ადეკვატურად შეარჩევენ სამეტყველო სტილს. ტექსტში იპოვიან კონკრეტულ ინფორმაციას, ამოიცნობენ სხვადასხვა ინფორმაციას შორის არსებულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს; ინფორმაციის გადმოსაცემად შეადგენენ საპრეზენტაციო პროგრამას (სლაიდშოუს); შეძლებენ ტექსტის ვიზუალიზებას, ვარაუდების ჩამოყალიბებას, ახსნა-განმარტებას, შეკითხვების დასმას, პასუხების მოძიებას, კავშირების დამყარებასა და შეჯამებას; შეძლებენ წერას მარტივი ინსტრუქციების შესაბამისად; ტექსტის შედგენის დროს გამოიყენებენ ახლად შესწავლილ სიტყვებსა და ფრაზებს.

***მოსწავლეებს უვითარდებათ:*** შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრის, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის, საინფორმაციო, მედია და ისტ წიგნიერების, დამოუკიდებლად მუშაობის, სოციალური და კულტურული უნარ-ჩვევები.

***შეფასება***: მასწავლებელი ახდენს მოსწავლეთა განმავითარებელ შეფასებას დაკვირვების საფუძველზე.

- კითხვა, წერა, ინფორმაციის დამუშავება;
- მსჯელობა;
- სავარჯიშოების შესრულება;
- მუშაობა ინდივიდუალურად, ჯგუფებსა და წყვილებში;
- პრეზენტაცია;
- აქტიურობა /ჩართულობა;
- ბუკის გამოყენება;
- დროის ლიმიტის გათვალისწინება.

მოსწავლეები აფასებენ ერთმანეთის ნამუშევრებს მულტიმედია პრეზენტაციის შეფასების რუბრიკის გამოყენებით. გთავაზობთ შეფასების რუბრიკას:

**პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა**

| კრიტერიუმები | კი | არა |
|---|---|---|
| პრეზენტაციას აქვს შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა | | |
| თემა გასაგებად არის წარმოდგენილი | | |
| ლოგიკურია და კარგად ჩამოყალიბებული | | |
| ფლობს აუდიტორიას | | |
| საუბრობს გამართულად | | |
| არგუმენტირებულია, გამყარებულია ფაქტებით | | |
| იყენებს შესაბამის ტექნოლოგიას | | |
| დასკვნები ორიგინალური და დამაჯერებელია | | |
| სრულყოფილად სცემს პასუხს ყველა შეკითხვას | | |
| იყენებს თვალსაჩინოებებს | | |
| იცავს დროის ლიმიტს | | |

***გამოყენებული ლიტერატურა:***

1. *ეროვნული სასწავლო გეგმა* – 2011-2016 წწ.;
2. *წიგნიერება – მასწავლებლის სახელმძღვანელო – პაატა პაპავა, თამარ ჭანტურია (თბ. შპს „მწიგნობარი“,* 2012 *წ.);*
3. *ბავშვზე ორიენტირებული სკოლის გზამკვლევი (თბ. სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი,* 2012 *წ.).*

***გამოყენებული მულტიმედიარესურსი***

*„ზღაპრად თქმული ისტორია“* –
https://www.youtube.com/watch?v=UF9dxU0JfkE

# მაღალი მიღწევები სასკოლო და სტუდენტური სპორტიდან იწყება



***სპორტის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ვლადიმერ ბოჟაძე საუბრობს სპორტის უნივერსიტეტის სიახლეებსა და ახალ ინიციატივაზე – ყველა უმაღლეს სასწავლებელში აღდგეს დისციპლინა „სპორტი". საინტერესოა, ასევე, მისი მოსაზრება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სწავლების ხარისხზე და სპორტის პედაგოგთა კვალიფიკაციაზე.***

### სპორტის უნივერსიტეტის სიახლეები

2007 წელს ყოფილი სპორტის აკადემიის გაუქმებამ უდიდესი გავლენა იქონია არა მხოლოდ საჯარო სკოლებზე და უნივერსიტეტებზე, სპორტის სწავლების მიმართულებით, არამედ მასობრივი სპორტის განვითარებაზე, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდაზე და ზოგადად დიდი ზიანი მიაყენა ქართული სპორტის განვითარებას. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, პირველი ნაბიჯი, რომელიც გადაიდგა, სპორტის უნივერსიტეტის აღდგენა იყო. 7-წლიანი პაუზის შემდგომ, მოვახერხეთ სტუდენტების მიღება. წელს აბიტურიენტთა მესამე ნაკადი იყო და უკვე სამასზე მეტი სტუდენტი გვყავს. სხვადასხვა ფაკულტეტებიდან, სპორტის შესაბამისი სახეობების მიხედვით, ძალიან პოპულარული და საკმაოდ კონკურენტულია ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტი. ძალიან ბევრი სტუდენტი, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან, მობილობით, გამოთქვამს სურვილს ჩვენთან გააგრძელოს სწავლა. ამ თვალსაზრისით (პროცენტული თვალსაზრისით), ჩვენი უნივერსიტეტი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური უმაღლესი სასწავლებელია, სადაც მობილობით სწავლის გაგრძელება სურთ ახალგაზრდებს.

წელს პირველად, დავამატეთ სპორტის პედაგოგების საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის სახელწოდებაა – „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელი სკოლებისთვის".

სპორტის აკადემია იყო ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც სკოლებისთვის ამზადებდა პროფესიონალ სპორტის პედაგოგებს და, ბუნებრივია, მისმა გაუქმებამ საშუალო სკოლებში სპორტის გაკვეთილებს და ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდას გარკვეული პრობლემები შეუქმნა, რაც 2010 წელს ჩატარებულმა იუნისეფის კვლევამაც დაადასტურა. შემიძლია ციფრებით მოგახსენოთ, ძალიან მძიმე სტატისტიკაა: მაშინ სკოლებში, სულ, 4200-მდე პედაგოგი იყო დასაქმებული და აქედან შესაბამისი განათლება ჰქონდა მხოლოდ 39%-ს, 61% არაპროფესიონალი იყო. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის 61% ახლა გაცილებით მაღალი იქნება. პროფესიონალი პედაგოგების 39% პროცენტი სწორედ სპორტის აკადემიის კურსდამთავრებულებზე მოდიოდა. ბუნებრივია, ასაკის ან სხვა მიზეზებიდან გამომდინარე, მათი რაოდენობა კიდევ უფრო შემცირდა. ეს ბუნებრივიცაა, როდესაც უქმდება უნივერსიტეტი, რომელიც პროფესიონალ კადრებს ამზადებდა.

ახლა სკოლების უმეტეს ნაწილში, სპორტის პედაგოგი, პირველ რიგში, მამაკაცია. გენდერი და სპორტი – ესეც ძალიან სერიოზული მიმართულებაა და, ამ მხრივ, სასიხარულოა, რომ ჩვენ ძალიან ბევრი სპორტსმენი გოგონა გვყავს სტუდენტი. ამაზე საგანგებოდ ვმუშაობთ, რომ სპორტში გენდერი მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული – მწვრთნელებში, სპორტსმენებში, პედაგოგებში. თითქმის ყველა სკოლაში სპორტის მასწავლებელი, იმავდროულად, არის ფიზიკის ან მათემატიკის პედაგოგი და ეს საათები მას შეთავსებული აქვს ძირითადი საათებისა და დატვირთვის შესავსებად. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში, პროფესიონალიზმზე საუბარი ზედმეტია.

პრაქტიკულად, პარადოქსული სიტუაცია გვაქვს იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოს კანონი სპორტის შესახებ სკოლებს ავალდებულებს, რომ სპორტის გაკვეთილი კვირაში, მინიმუმ, 4 საათი იყოს. საზღვარგარეთ, ყველა ევროპულ ქვეყანაში, ეს ციფრი გაცილებით მაღალია. სკოლებში მოსწავლეები, რაც შეიძლება, აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული სპორტში, იმიტომ რომ, არააქტიური ცხოვრების წესი, ზოგადად და მათ შორის მოსწავლეებში, უამრავ დაავადებას იწვევს და ჩვენ ძალიან მძიმე სურათი გვაქვს ამ მიმართულებით – ტანადობის დარღვევა, სკოლიოზი და ბევრი სხვ. ფაქტობრივი მდგომარეობით, სპორტის გაკვეთილები სულ რაღაც 2 საათი ტარდება. ეს საჯარო ინფორმაციაა და სკოლები ამას არც მალავენ, რადგან არც ინფრასტრუქტურა აქვთ სათანადო და არც შესაბამისი რესურსი.

ამ მიმართულებით ძალიან ბევრს ვმუშაობთ, მაგალითად, მოვახერხეთ ის, რომ 2017-18 სასწავლო წლიდან, I-VI კლასებში, უკვე სავალდებულო წესით, საათების რაოდენობა იქნება 3 საათი. საკითხი სასწავლო გეგმებში უკვე შესულია და ეს ჩვენი უნივერსიტეტის აქტივობითაც მოხდა – პრაქტიკულად, ერთი საათი გარანტირებულად დაემატება ამ სასკოლო დატვირთვას.

### პროგრამა – „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელი სკოლებისთვის"

ზოგადი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს ჩამონათვალში, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელი საერთოდ არ არსებობდა იმიტომ, რომ არ არსებობდა უნივერსიტეტი, რომელსაც სურვილი ექნებოდა, ემუშავა ამ თემებზე და ამ სპეციალობის ადამიანები მოემზადებინა. ამიტომ ჩვენ ორი წელი დაგვჭირდა, განათლების ხარისხის განვითარების შესაბამის სამსახურთან ერთად, ეს საკითხები დაგვერეგულირებინა, შეგვემუშავებინა შესაბამისი სტანდარტი და, ფაქტობრივად, ერთადერთი უნივერსიტეტი ვართ, რომელშიც ექსკლუზიურად (2015 წელს მივიღეთ ამ პროგრამის შესაბამისი ავტორიზაცია), პირველად მოხდა, რომ პედაგოგის გადამზადების პროგრამა – 60-კრედიტიანი მოდული „ჩავაშენეთ" 240-კრედიტიან მოდულში. ეს 240 კრედიტი ინტეგრირებულია, აქედან 60 – არჩევითი საგნებია, 120 – ძირითადი საგნები და 60 – სწორედ მასწავლებლის გადამზადების პროგრამა. აბიტურიენტებს, რომლებიც ჩვენს უმაღლესში ჩააბარებენ ამ სპეციალობაზე – „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელი სკოლებისთვის", ფაქტობრივად, კარიერას დაიწყებენ უფროსი მასწავლებლობით (ყველა პედაგოგი პრაქტიკოსი მასწავლებლით იწყებს პედაგოგიურ კარიერას) და გარანტირებულად ექნებათ სამსახური, რადგან მოთხოვნა, საჯარო და კერძო სკოლებიდან, კვალიფიციურ და პროფესიონალ პედაგოგებზე ძალიან მაღალია. დიპლომთან ერთად, ჩვენ მათ შესაბამის სერტიფიკატსაც გადავცემთ და ერთი საფეხური – პრაქტიკოსი მასწავლებლიდან უფროს მასწავლებლამდე – მათ უკვე გავლილი ექნებათ.

გარდა ამისა, სწორედ ჩვენი უნივერსიტეტი ახორციელებს მასწავლებლის გადამზადების პროგრამასაც. ესეც განათლების ხარისხის განვითარების შესაბამის სამსახურთან ერთად შევიმუშავეთ და საკმაოდ დიდი შრომა გავწიეთ ყველამ ერთად, რომ ეს საგანმანათლებლო პროგრამა მოგვემზადებინა. იცით, რომ ეს 60-კრედიტიანი ერთწლიანი პროგრამაა და ამასაც სახელმწიფო აფინანსებს და ყველა პედაგოგს, ვინც ჩვენთან ამ პროგრამაზე ჩაირიცხება, სახელმწიფო 1850 ლარით აფინანსებს. ჩვენ ამ სასწავლო პროგრამის განხორციელებისთვის, პრაქტიკულად, მზად ვართ.

### დაინტერესება ახალგაზრდების მხრიდან

დაინტერესება საკმაოდ მაღალი იყო, ბევრმა გამოთქვა ამ პროგრამაში მონაწილეობის სურვილი. სამწუხაროდ, ეროვნულ გამოცდებზე, მიუხედავად იმისა, რომ აბიტურიენტები, პირველ რიგში, ჩვენთან გადიან ე.წ. სპორტულ ტურს (რომელიც გულისხმობს: 1000 მეტრზე სირბილს, 100 მეტრზე სირბილს, აზიდვებს, სიგრძეზე ხტომას და ა.შ.), რაც ბუნებრივია, ისინი ხომ სპორტის მასწავლებლები უნდა იყვნენ და, შესაბამისად, კარგ სპორტულ ფორმაში უნდა იყვნენ. ამის მერე მიდიან ეროვნულ გამოცდებზე და, განსხვავებით სხვა აბიტურიენტებისგან, მხოლოდ სამ საგანს აბარებენ, მათ მინიმალური ცოდნა მოეთხოვებათ. სამწუხაროდ, ბევრი ამ მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილებასაც ვერ ახერხებს ან, პირიქით, უფრო მეტს ახერხებს და სხვა უმაღლეს სასწავლებელში ხვდება, აღარ ბრუნდება ჩვენს უნივერსიტეტში.

### მობილობის წესი

ჩვენს უნივერსიტეტში, ბუნებრივია, მობილობის წესი ისეთივეა, როგორც სხვა უნივერსიტეტებში – ვნახავთ რა საგნები გაიარეს, რა კრედიტები აქვთ, რას ჩავუთვლით და, შესაბამისად, რომელ კურსზე მოუწევთ სწავლის გაგრძელება და ა.შ. რაც შეეხება ფიზიკურ ნორმატივებს, აქ საუბარია მარტივ მოთხოვნებზე, რაც არ არის რთული იმ ადამიანისთვის, ვისაც სურვილი აქვს, საკუთარი კარიერა სპორტს და ფიზიკურ აღზრდას დაუკავშიროს, იმიტომ რომ, წარმოუდგენელია, პედაგოგი თავად არ იყოს სპორტულ ფორმაში.

### ფიზაღზრდის კათედრები

უმაღლეს სასწავლებლებში, 2008 წლიდან, ფაქტობრივად, ყველგან გაუქმდა ე.წ. ფიზკულტურის კათედრები. ჩვენი თაობის სტუდენტობას ახსოვს ასეთი კათედრების არსებობა, შესაბამისი ინფრასტრუქტურაც არცერთ უნივერსიტეტში, სამწუხაროდ, აღარ არსებობს. მანამდე არსებობდა პრეცედენტი, როცა სტუდენტებს არჩევით საგნად შეეძლოთ აეღოთ სპორტის რომელიმე სახეობა და ამით კრედიტებიც დაეგროვებინათ, დღეს ესეც აღარ არსებობს, სამწუხაროდ. ჩვენ, როგორც ერთადერთი სპორტული უნივერსიტეტი, განათლების ხარისხის განვითარების სამსახურთან ერთად, გამოვდივართ ინიციატივით – დავრთოთ ნება უმაღლეს სასწავლებლებს, მისცენ სტუდენტებს სავალდებულო ან არჩევით საგნად სპორტის რომელიმე სახეობის არჩევის შესაძლებლობა, რომელშიც ივარჯიშებენ, უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა შეჯიბრებებში, ტურნირებში. ამით უნივერსიტეტსაც ასახელებენ და პლუს, კრედიტებსაც შეივსებენ. მთავარია, სტუდენტებს სპორტისა და სპორტული მოღვაწეობის მიმართ გავუღვიძოთ ინტერესი.

ავტორიზაციის მოთხოვნებში, სამწუხაროდ, რაიმე სპორტული სივრცის არსებობა აუცილებელი მოთხოვნა არ არის, ამიტომ გვინდა, იმ უნივერსიტეტებს, რომლებიც ან ახალ ავტორიზაციას გაივლიან, ან ხელახლა დაფუძნდებიან, დაეკისროთ ვალდებულება, რომ უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არსებობდეს გარკვეული სპორტული სივრცე, საზოგადოებრივი სივრცე იმისათვის, რომ სტუდენტებმა, არჩევითი საგნის სახით, შეძლონ კრედიტების მიღება, ან მათთვის თავისუფალ დროს – სპორტული აქტივობების განხორციელება. ამით წავახალისებთ სტუდენტურ სპორტს და მაღალი მიღწევების სპორტი სწორედ მასობრივი სპორტიდან – სასკოლო და სტუდენტური სპორტიდან იწყება.

### ახალი ინიციატივა – იდეის დონეზე თუ კონკრეტული ნაბიჯები

ეს ინიციატივები იდეის დონეზე არსებობს. ჩვენ ძალიან აქტიურად ვმუშაობთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, ასევე, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროსთან. ისინი ახორციელებენ ჩვენს ზედამხედველობას. ჩვენი უნივერსიტეტის ბიუჯეტი სწორედ სპორტის სამინისტროს ბიუჯეტშია გათვალისწინებული. წელს სპორტის სამინისტროს დაფინანსება გაეზარდა და მნიშვნელოვანია, რომ ითქვა – სპორტი და განათლება ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტია ჩვენი ქვეყნისთვის. იმედი გვაქვს, სპორტის უნივერსიტეტსაც გაეზრდება დაფინანსება. უნიკალურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე – სახელმწიფოს, ამ ბოლო პერიოდში, არ დაუფუძნებია არც ერთი უნივერსიტეტი, მხოლოდ ჩვენი უნივერსიტეტის ხელახლა დაფუძნება მოხდა. ახლა, ასე ვთქვათ, გარდამავალ პერიოდში ვართ, მუდმივად გვემატება როგორც სტუდენტების რაოდენობა, ასევე პროფესორ-მასწავლებლების.

### თანამშრომლობა სკოლებთან

უნივერსიტეტში ე.წ. გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლების კურსები გავაკეთეთ. ძალიან ინტენსიურად ვთანამშრომლობთ სკოლებთან და ვახსენებთ მათ, რომ პედაგოგების გადამზადების პროგრამას ვახორციელებთ. პირველად მოხდა წელს, როცა სპორტის პედაგოგების სერტიფიცირება განხორციელდა და ძალიან ბევრმა პედაგოგმა, სასერტიფიკატო გამოცდებზე გასასვლელად, ჩვენს უნივერსიტეტში გაიარა მოსამზადებელი კურსი.

თქვენ იცით, რომ 2017 წლიდან დაგეგმილია პედაგოგების ხელფასების მატება, მაგალითად, 1 იანვრიდან მენტორ პედაგოგს ექნება 1250 ლარი, წამყვანს – 1000 ლარი, უფროს მასწავლებელს – 800 ლარი და პრაქტიკოს მასწავლებელს – 455. ბუნებრივია, ბევრი მოქმედი პედაგოგი აპირებს, ამ მიმართულებით, კარიერულ ზრდას და ჩვენი უნივერსიტეტი მზად არის, კვალიფიციურად შეძლოს ამ ადამიანების გადამზადება. არაერთი შეხვედრა მქონდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან, ალექსანდრე ჯეჯელავასთან და დარწმუნებული ვარ, რომ სკოლებშიც და უმაღლესშიც სპორტი აუცილებლად დაბრუნდება. ჩვენი უნივერსიტეტი, ერთი მხრივ, წელიწადში ერთხელ, შეძლებს, განათლების სისტემას ახალი კვალიფიციური პედაგოგები მიაწოდოს და მეორე მხრივ, ერთწლიანი 60-კრედიტიანი პროგრამით, უკვე მოქმედი პედაგოგები გახადოს პროფესიონალები, აუმაღლოს კვალიფიკაცია, რომ მშვიდად ვიყოთ და ვიცოდეთ, სკოლაში ჩვენს შვილებს პროფესიონალი პედაგოგები ასწავლიან ფიზიკურ აღზრდასა და სპორტს.

### ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზება

უნდა ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანაში პრობლემები გვაქვს სპორტის პოპულარიზაციასთან, მასობრიობასთან დაკავშირებით. რადგან ჩვენ ამ პროფილის ერთადერთი უნივერსიტეტი ვართ, აქტიურად უნდა ვიყოთ ჩართულები სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში. ამიტომ ჩამოვაყალიბეთ შესაბამისი სტრუქტურა, რომელიც დაეხმარა პედაგოგებს, მომზადებულიყვნენ სასერტიფიკატო გამოცდისთვის, ვახორციელებთ მომავალი პედაგოგების მომზადების პროგრამას და ასევე აქტიურად ვთანამშრომლობთ სხვადასხვა სპორტულ ფედერაციებთან. არაერთი სპორტული ფედერაციის მოქმედი მწვრთნელები გადავამზადეთ, ავამაღლეთ როგორც გამოცდილი მწვრთნელების კვალიფიკაცია, ასევე ახალბედა მწვრთნელების. ფაქტობრივად, ჩვენი სასწავლო პროგრამა სრულად არის ინტეგრირებული ყველა შესაბამის ფედერაციასთან და ისინი დიდი სიამოვნებით თანამშრომლობენ ჩვენთან. უკვე წარმატებული თანამშრომლობის გამოცდილებაც გვაქვს ბევრ ფედერაციასთან.

ახლა მოვამზადეთ შესაბამისი მოდული და დავიწყებთ თანამშრომლობას როგორც დედაქალაქთან, ასევე სხვა მუნიციპალიტეტებთან. პროგრამა ითვალისწინებს სპორტის მენეჯერების მომზადებას, იგულისხმება სასპორტო აიპ-ების, სხვადასხვა სპორტული კლუბისა თუ ფედერაციის ხელმძღვანელი პირები, რომლებიც შეისწავლიან, პირველ რიგში, სპორტის კანონმდებლობას, ბიუჯეტირებას, შესყიდვების შესახებ კანონს და ა.შ., ყველაფერს, რაც მათ პროფესიულ მართვაში დაეხმარება.

გვინდა, სპორტში დავაბრუნოთ მეცნიერება და განათლება იმიტომ, რომ ამის გარეშე წარმოუდგენელია. გვაქვს სამაგისტრო პროგრამები, მათ შორის სპორტის მენეჯერის და გვყავს მაგისტრები, რომლებმაც წელს საერთო სამაგისტრო

## სპორტი

გამოცდები ჩააბარეს, გახდნენ მაგისტრანტები და აგრძელებენ სწავლას ჩვენთან. მათ სპორტის მენეჯერის მაგისტრის ხარისხი მიენიჭებათ.

რაც შეეხება სპორტის პოპულარიზაციას, ამ მიმართულებით სამწუხარო სტატისტიკა გვაქვს, ფაქტობრივად, მოსახლეობის საერთო რაოდენობის 1,1%-ია სპორტში ჩაბმული და ეს საგანგაშოა. ოფიციალური მონაცემები ასეთია – უამრავი სპორტის სახეობა და ფედერაცია არსებობს, რომელსაც, პოპულარიზაციის თვალსაზრისით, სერიოზული პრობლემები აქვს, არ არიან სპორტსმენების სათანადო რაოდენობა ჩართული, და ძალიან ბევრი სახეობა, სამწუხაროდ, რეალურად ძალიან რთულ მდგომარეობაშია.

ბუნებრივია, ჩვენი ტიპის ქვეყანა, ასეთი მცირე მოსახლეობით, სპორტის ყველა დარგს ვერ განავითარებს და ყველგან ვერ გვექნება უმაღლესი მიღწევები, მაგრამ არ უნდა არსებობდეს სპორტის სახეობა, რომელსაც არ ექნება შესაბამისი ხელშეწყობა და მხარდაჭერა. ამ თვალსაზრისით, ასევე, გვაქვს ინიციატივა – სპორტის სამინისტროსთან ერთად (ბუნებრივია, პირველ რიგში, ეს სახსრებთანაა დაკავშირებული), თუმცა არა მხოლოდ სამინისტროს, მუნიციპალიტეტებშიც შეიძლება შესაბამისი რესურსის გამოძებნა, იგულისხმება სპორტის ერთგვარი ვაუჩერიზაცია. პირველ რიგში, ეს შეეხება ბავშვებს მრავალშვილიანები ან სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან და სხვა შესაბამის კატეგორიას. მათ გადაეცემათ ვაუჩერი და ბავშვები, მშობლებთან ერთად, თავად გადაწყვეტენ, სპორტის რომელ სახეობას აირჩევენ, წარადგენენ ვაუჩერს და სახელმწიფო, მათ ნაცვლად, გადაიხდის თანხას. ამით კიდევ მეტ ბავშვს ჩავრთავთ სპორტში. მართალია, წელს ამისთვის რესურსები არ არის გამოძებნილი, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ 2017 წელს ნაყოფიერად გამოვიყენებთ იმისთვის, რომ ეს ინიციატივა კიდევ უფრო დაკონკრეტდეს და საკანონმდებლო ფორმა მიიღოს. შეიძლება ბიზნესიც ჩაერთოს, ამიტომ ერთგვარი შეღავათები უნდა არსებობდეს ბიზნესისთვის, სპორტის პოპულარიზაციისა და მხარდაჭერის თვალსაზრისით. ვფიქრობთ, ეს აუცილებელი ნაბიჯია, რადგან ყველანი ამ ქვეყანაში ვცხოვრობთ და ძალიან კარგად ვიცით, რა ღირს ან საცურაო აუზის აბონემენტი, რაგბის ან ფეხბურთის სექციაში ბავშვის მიყვანა და სხვ. სამწუხაროდ, ათასობით და ათიათასობით ბავშვი ამ პროცესის მიღმა რჩება და ჩვენ უნდა შევძლოთ, რომ ეს შევცვალოთ. ასეთია ევროპული მიდგომა – ყველამ კარგად იცის, რომ 1 ევრო, რომელიც სპორტში იდება, დაახლოებით, 10-12 ევროს უდრის, არჩადებულს ჯანდაცვაში და დაზოგილს სხვა რესურსებისთვის. ამიტომ სახელმწიფომ ბევრი უნდა ჩადოს სპორტში, რადგან ეს პირდაპირ ეფექტს იძლევა, მათ შორის – ფინანსურს, იმიტომ რომ ნაკლები ადამიანია ჯანმრთელობის პრობლემით, ნაკლები დაავადებაა, რაც მნიშვნელოვანია – თუნდაც საყოველთაო ჯანდაცვის მიმართულებით სახსრები გაცილებით ეკონომიურად დაიხარჯება. ვფიქრობთ, უახლოესი წლების განმავლობაში, სახელმწიფოს მიდგომა სპორტის მიმართ რადიკალურად შეიცვლება.

დარწმუნებული ვართ, ჩვენ ყველანი შევძლებთ ერთად გავაძლიეროთ ჩვენს ქვეყანაში სპორტი და, შესაბამისად, კიდევ უფრო მეტი წარმატებები ჰქონდეთ ჩვენს სპორტსმენებს საერთაშორისო ასპარეზზე.

2017 წლის განმავლობაში არაერთ საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებას უნდა ვუმასპინძლოთ და არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება. ბუნებრივია, როცა ეს სპორტული ღონისძიებები დასრულდება, ინფრასტრუქტურა რჩება ჩვენს ქვეყანას, მაგრამ ამ დარბაზებში კვალიფიციური მწვრთნელები და სპეციალისტები უნდა იყვნენ, იქ უნდა ივარჯიშონ ბავშვებმა და მათთვის, ბუნებრივია, ეს ყველაფერი ხელმისაწვდომი და, პირველ რიგში, პოპულარული უნდა იყოს.

### სიახლეები/ სამომავლო გეგმები

ზოგადად, აბიტურიენტებისთვის, ალბათ, მნიშვნელოვანი იქნება ის სიახლე, რომელიც ეხება უცხო ენის გამოცდას, რადგან ჩვენი აბიტურიენტებიც აბარებენ, ბუნებრივია, ამ გამოცდას. რაც შეეხება ჩვენს უნივერსიტეტს, 2017-18 სასწავლო წლისთვის, ვაცხადებთ მიღებას სამ სასწავლო პროგრამაზე:

– სპორტის მწვრთნელის, სპორტის ყველა სახეობების მიხედვით;

– ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის, რომელიც, რა თქმა უნდა, არ არის ექიმის სასწავლო პროგრამა, მაგრამ სტუდენტები საკმაო ცოდნას იღებენ, რომ იყვნენ კვალიფიციური სპორტის ექიმები, მასაჟისტები, რეაბილიტოლოგები და დაეხმარონ სპორტულ კლუბებს. ძალიან ბევრი სპორტული კლუბია ჩვენს ქვეყანაში და მათ კვალიფიციური ექიმები სჭირდებათ, ჩვენი კურსდამთავრებულები, პრაქტიკულად, უზრუნველყოფილი იქნებიან სამსახურით;

– პედაგოგების სასწავლო პროგრამა, რომელზეც ახლა დიდი მოთხოვნაა.

ჩვენ, ასევე, გვაქვს ინიციატივა – 21 სასწავლო პროგრამას სახელმწიფო სრულად აფინანსებს და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ათიათასობით სტუდენტი 100%-იან დაფინანსებას იღებს. ჩვენი სურვილია, რომ 22-ე სპეციალობად სპორტის პედაგოგი დაემატოს და ამით კიდევ უფრო წავახალისოთ ეს პროცესი, კიდევ უფრო მოვიგოთ დროის თვალსაზრისით, რაც შეიძლება სწრაფად მივაწოდოთ განათლების სისტემას კვალიფიციური პედაგოგები.

მინდა ყველა აბიტურიენტს წარმატებები ვუსურვო. მნიშვნელოვანია, რომ კვალიფიციური, განათლებული თაობა გვყავდეს ყველა მიმართულებით – როგორც სპორტში, ასევე მეცნიერებაში, რადგან განათლების გარეშე წარმოუდგენელია ქვეყნის განვითარება.

*რადიო იმედის გადაცემის* **გამოცდებიდან გამოცდებამდე თეიკო ანჯაფარიძესთან ერთად**
*მიხედვით მოამზადა* **ლალი თვალაბეიშვილმა**

## სასკოლო აქტივობა

# შეხვედრა პედიატრთან



თბილისის 144-ე საჯარო სკოლაში (დირექტორი **მანანა ჩარგეიშვილი**) ტრადიციად იქცა პედიატრების ჩართულობა მოსწავლეთა სამედიცინო განათლების მიზნით. ბიოლოგიის მასწავლებლის, **ლალი ედიბერიძის** ორგანიზებით სკოლა ჩაერთო ტუბერკულოზით გამოწვეული სტიგმის საწინააღმდეგო კამპანიაში, რომლის ფარგლებშიც, VII და VIII კლასების მოსწავლეებთან, გაიმართა დისკუსია ტუბერკულოზის გამომწვევ მიზეზებზე, პრევენციასა და სწორ მკურნალობაზე. შეხვედრა საინტერესოდ წარიმართა, მოსწავლეებმა მიიღეს ახალი საინტერესო და საჭირო ინფორმაცია დაავადების პრევენციის შესახებ. დაიგეგმა ღონისძიება მომავალი წლის 24 მარტისთვის – ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო დღის აღსანიშნავად, რომელშიც სკოლა 2008 წლიდან სისტემატურად მონაწილეობს.

საფუძველი ჩაეყარა სკოლასა და სამედიცინო დაწესებულებებს შორის პარტნიორულ ურთიერთობას და შეიქმნა ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის ახალგაზრდული კავშირი, რომლის აქტივს წარმოადგენენ მოსწავლეები: **მაკო მუსერიძე, ნიკა ბერიანიძე, ლუკა მირზაშვილი, ნიკა მირზაშვილი** და **ომარ ჯავახიშვილი**. ვიმედოვნებთ, რომ მათი რიცხვი მომავალში გაიზრდება.

144-ე საჯარო სკოლა დიდ მადლობას უხდის დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ტუბერკულოზის დაავადებათა ექსპერტს, ქალბატონ ეკატერინე სანიკიძეს გაწეული დახმარებისთვის და თანამშრომლობისთვის.

**შორენა ზარდიაშვილი**
*144-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე*

# გიორგობისთვეში დაწყებული მეგობრობა

ზუგდიდის ალექსანდრე ღურწკაიას სახელობის, იმავე ჯიჯი გიმნაზიის შესახებ, პირველად, 2014 წლის ნოემბერში, ქუთაისში, თსუ ეკოკლუბის კონკურსზე „შექმენი საახალწლო ნაძვის ხე“ გავიგე. მას შემდეგ თვალს ვადევნებდი მათ სოციალურ გვერდს, მათ მიღწევებს, მაგრამ რაც ამ გიმნაზიის პედკოლექტივმა **მარი კვირიკაძე** მიიღო, ჩემი სიმპათია და ინტერესი გაორმაგდა – იგი ლახამულიდანაა წარმოშობით, ხაიშის საჯარო სკოლაში მუშაობდა. ჩააბარა საგნობრივი გამოცდა და პედაგოგიური საქმიანობა ჯიჯი გიმნაზიაში გააგრძელა. ძალიან ნიჭიერი, ენერგიული, პერსპექტიული და ყურადღებიანი ახალგაზრდაა. ის რომ არა, ჩვენ ამ პროექტში ვერ მოვხვდებოდით.



20 ნოემბერს ლახამულამ ჯიჯის იმ ჯგუფს უმასპინძლა, რომელიც დოკუმენტურ ფილმს იღებს სვანეთზე. ფილმის „სვანეთი“ პროექტის ავტორები არიან: ისტორიის პედაგოგი **ხათუნა პერტია** და ინგლისური ენის პედაგოგი **მარი კვირიკაძე**, თანაავტორი მეც ვარ.

ფილმის გადაღება პროექტის „მოვიაროთ და მოვუაროთ საქართველოს“ ფარგლებში მიმდინარეობს. „სვანეთი“ მე-3 დოკუმენტური ფილმი იქნება, რომელიც ჯიჯი-ტელევიზიის მხარდაჭერით ხორციელდება და მასში, ჯიჯი გიმნაზიის მოსწავლეებთან ერთად, ლახამულის საჯარო სკოლის მოსწავლეებიც მიიღებენ მონაწილეობას.

სტუმრებს გავაცანით ჩვენი სოფელი, ვესაუბრეთ ტრადიციებზე, ჩვენს ეკლესიაში დაცულ უნიკალურ ოთხთავზე და მის მნიშვნელობაზე. მაცი მასწავლებელთან ერთად,



ჩვენმა ბიჭებმა, სტუმრების საპატივცემულოდ, მათი მშვიდობით მობრძანებისა და მგზავრობისთვის, აღავლინეს სვანური ტრადიციული ლოცვა „ლემზირებით“ და სახლში ჩამოქნილი თაფლის სანთლებით. **ავთო ჭკადუას** და **ნინელი ეჯიბაძის** ოჯახში მიღებული მასპინძლობით მოხიბლულებმა, მესტიისკენ გააგრძელეს გზა, სადაც კიდევ უფრო აღფრთოვანდნენ **კახა ჟორჟოლიანის** ყურადღებით და პატივისცემით, რომელმაც სვანი კაცის ღირსებით უმასპინძლა გიმნაზიის ადმინისტრაციულ ჯგუფსა და მოსწავლეებს. მეგრელი ბავშვების მიერ მასპინძლებისთვის შესრულებულმა „შინა ვორგილმა“ ყველა მოლოდინს გადააჭარბა!..

ალბათ, ჯიჯიელებს წარმოდგენა არ აქვთ, რომ ლახამულის სკოლაში სულ 24 მოსწავლეა, მაგრამ ისეთი მამაცები და გამბედავები ვართ, ცხრათავიან დევს (კარგი გაგებით) შეგვიძლია შევეჭიდოთ! ამიტომ არ ვთქვით უარი, ჯიჯი პროექტის ფარგლებში, ფილმში მონაწილეობაზე. მართალია, რეჟისორ-ოპერატორი ვანერვიულეთ, მაგრამ სერიოზული კამერის პირისპირ პირველად აღმოვჩნდით და ჩვენი დაბნეულობა ტექსტების უცოდინარობით არ იყო გამოწვეული. სამაგიეროდ, გამოცდილება მივიღეთ და, სამომავლოდ, მსგავს აქტივობას ღირსეულად გავართმევთ თავს!

გიორგობისთვეში დაწყებული მეგობრობა მომავალშიც გაგრძელდება!

**ლალი მარგიანი**
*ლახამულის საჯარო სკოლის პედაგოგი*

# „ნარშავები“ უმცროსებმა გააშავეს



იმ დროს, როცა საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები შოტლანდიასთან უშანსოდ აგებს, უმცროსმა „ბორჯღალოსნებმა“ გვარიანად „მიბეგვეს“ „ნარშავების“ მომავალი თაობა – ედინბურგის „მეგეთლენზე“ გამართულ ფიცხელ შეხლაში მასპინძლებს 21:17 მოუგეს.

მასპინძელთა თხოვნით, ორივე გუნდი 18-19 წლის მორაგბეებით იყო დაკომპლექტებული და ამიტომ, შერკინებაში მიწოლა არ ყოფილა. სანახაობრივად კარგ თამაშში ანგარიში **გელა აფრასიძემ** გახსნა ჯარიმით, პირველ ტაიმში კი **აკაკი ტაბუცაძემ** ლელოც დადო და პირველი ნახევარი 8:0 მოვიგეთ.

მეორე ტაიმში ჩვენების თამაში ცოტა აირია, რაშიც დიდი წვლილი მეტოქის ორგანიზებულობამ ითამაშა – ისინი უკეთ ათამაშდნენ, ჩვენებმა კი უხეშობას უმატეს და ორჯერ გაგვიძევეს კიდეც მოთამაშე. მასპინძლებმა რიცხობრივი უპირატესობით კარგად ისარგებლეს და დაწინაურება მოახერხეს, მაგრამ **ილია მაისურაძის** შეგირდებმა მალევე დაალაგეს თამაში როგორც დაცვაში, ასევე შეტევაში, რასაც შედეგად მრავალფაზიანი შეტევა და **დავით მესხის** ლელო მოჰყვა. მესამე ლელო **ბექა მამუკაშვილმა** დადო, ვინც შეცვლაზე შევიდა და კარგად ჩაერთო თამაშში, საბოლოო წერტილი **თედო აბჟანდაძემ** დასვა – 21:17. არადა, ბოლო წუთებზე მარცხს გადავურჩით, როცა ჩვენმა დაცვამ ვაჟკაცურად გაუძლო „სქოთების“ ზეწოლას და ლელოს დადების საშუალება არ მისცა იმის მიუხედავად, რომ 5 მეტრამდე მიუახლოვდნენ ჩვენს ჩათვლის მოედანს.

ჩვენი ნაკრები 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადება, რომელიც გაისად, 31 მაისიდან 18 ივლისის ჩათვლით, საქართველოში, თბილისსა და ქუთაისში გაიმართება. ბრიტანეთშიც ამ ტურნირისთვის მზადების ფარგლებში იყვნენ, ეს კი მათი მეორე თამაში გახლდათ. სასიხარულოა, რომ ჩვენებმა პირველ შეხვედრაშიც წარმატებით იასპარეზეს, ოღონდ მაშინ ქალაქის ნაკრებს სძლიეს – შოტლანდიამდე ჩრდილო ირლანდიაში ჩავიდნენ და ქალაქ ალსთერის გუნდს 27:12 მოუგეს. რაღა თქმა უნდა, მათთან შედარებით, შოტლანდიის ნაკრები ბევრად ძლიერი მეტოქე იყო, მაგრამ მაისურაძის გაწვრთნილებმა ამ ამოცანასაც მშვენივრად გაართვეს თავი. შოტლანდიელებთან შეხვედრას ჩვენი ეროვნული ნაკრები (რომლებიც იქაურთა მთავარ გუნდთან საპაექროდ ემზადებოდნენ) და რაგბის კავშირის ხელმძღვანელობაც სრული შემადგენლობით დაესწრო. მათი ქომაგობა ახალგაზრდა ბორჯღალოსნებისთვის დამატებითი მოტივაცია გამოდგა.





# ჭილლაძის ნევისპირული ვერცხლი

სანკტ პეტერბურგში ჩატარებულ ახალგაზრდა მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონატში საქართველო 6-კაციანი გუნდით წარდგა, თუმცა მედლის მოპოვება მხოლოდ ერთმა შეძლო – მძიმეწონოსანი **იასონ ჭილლაძე** ფინალში გავიდა, სადაც ავსტრალიელ **ჯასტინ ჰანისთან** დამარცხდა და ვიცე-ჩემპიონის ტიტულს დასჯერდა. თუმცა, მის კარიერაში ეს ამ რანგის პირველი მედალია და მაინც დიდი წარმატებაა.

ჭილლაძემ ფინალამდე ძალიან რთული გზა გაიარა, განსაკუთრებით მძიმე ბრძოლა მეოთხედფინალში გადახდა, სადაც ყაზახი მეტოქე მინიმალური სხვაობით – 3:2 დაამარცხა. ნახევარფინალში გერმანელ **ნელვილ ჰესს** კი შედარებით იოლად აჯობა.

# მედლები მოხვეტეს

26-27 ნოემბერს, პოლონეთში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე ახალგაზრდა კარატისტებს შორის, საქართველო ორი მიმდინარეობით იყო წარმოდგენილი – კიოკუშინკაი კარატეში და ტეზუკას კიოკუშინკაი კარატეში. ჩვენები ორივეში დიდი წარმატებით გამოვიდნენ და, საერთო ჯამში, 17 მედალი მოიპოვეს. განსაკუთრებით კარგად მათ პირველ სტილში იჩხუბეს, სადაც 15 მედალი დაისაკუთრეს – 5 ოქრო, 6 ვერცხლი და 4 ბრინჯაო. ამათგან ერთი ბრინჯაო გოგონების წილად მოდის. ევროპის ჩემპიონები გახდნენ: **ხარება ქავთარაძე, ერიკ ოგანეზოვი, ნიკა ნავროზაშვილი, გიზო ომაძე** და **დავით გრძელიძე**. ფინალურ ორთაბრძოლებში **ჯეიხუნ ალიევი, ირაკლი ბაღნაშვილი, შალვა სეთურიძე, გიორგი ზედგინიძე, ვალერი საფოევი** და **გოგა ტურაბელიძე** დამარცხდნენ. ბრინჯაოს მედლებს **გიორგი კეზევაძე, ჰამლეტ აზიზიანი, ბექა ზედგინიძე** და **მარიამ ბუკია** დაეუფლნენ.

მეორე სახეობაში ორი ოქრო მოვიპოვეთ – ევროპის ჩემპიონები **გიორგი კახაშვილი** და **გიორგი ყარაულაშვილი** გახდნენ. ამასთან, კახაშვილი ჩემპიონატის საუკეთესო მებრძოლადაც დაასახელეს.

ჩვენი ნაკრები პოლონეთში 20-კაციანი გუნდით იყო წარმოდგენილი და მშვენიერი შედეგიც მოიპოვეს. პირადი მედლების გარდა, მათ გუნდური პირველობაც დაისაკუთრეს. მთლიანად ჩემპიონატში 15 ქვეყნის 430 კარატისტი გამოდიოდა.



# ბითაძის ორმაგი დატვირთვა

ქართულ კალათბურთს ტალანტები არასოდეს აკლდა და არც ახლა განიცდის მათ დეფიციტს. ერთ-ერთი ნიჭიერი და




ფრიად პერსპექტიული ახალგაზრდა, ვისზეც სპეციალისტები დიდ იმედებს ამყარებენ, 16 წლის 214-სანტიმეტრიანი გიგანტიც ამ იმედებს ამართლებს და ფრიად წარმატებით გამოდის ევროპაში ერთ-ერთ უძლიერეს – სერბეთის საკალათბურთო ლიგაში, თანაც ორმაგ როლში – ის „მეგა ლეკქსის“ საკუთრებაა, რომელიც ქვეყნის ახალგაზრდულ ლიგაში გამოდის, მას კი, პარალელურად, უმაღლესი ლიგის კლუბ „სმედერევოში“ ჰყავს განათხოვრებული, სადაც უკვე ეროვნულ ჩემპიონატში თამაშობს. ამგვარად ბითაძეს ორმაგი დატვირთვა უწევს, რასაც თავს წარმატებით ართმევს.

ამის დასტურად მისი ბოლო შეხვედრები გამოდგება. პარასკევს, 25 ნოემბერს, სერბეთის ეროვნულ ჩემპიონატში გამოვიდა, მოედანზე 21 წუთი დაჰყო და, ამ პერიოდში, „სმედერევოს“ 16 ქულით, 4 მოხსნით, 2 პასით და თითო ჩაჭრა-დაფარებით შეეწია. მეორე დღეს უკვე „მეგა ლეკქსის“ რიგებში 18-წლამდელთა ჩემპიონატში გამოვიდა და ფანტასტიკური თამაშით იქაური მედიის ყურადღებაც მიიპყრო. ჩვენებურმა პარკეტზე 28 წუთი გაატარა, ამ დროში ორმაგი დუბლი მიითვალა – 26 ქულა და 10 მოხსნა (აქედან სამი – შეტევაში). თუმცა, მისი შედეგიანობა ამით არ ამოწურულა, რადგან ამ მონაგარს 6 ჩაჭრა, 7 დაფარება და 3 პასი დაუმატა. ჩვენებურმა საკმაოდ წარმატებით ისროლა – 14 ორქულიანიდან 10 შედეგიანი აღმოჩნდა, სამქულიანი ერთხელ მოსინჯა და გამოიყენა, საჯარიმოს ხაზზე კი უნაკლო იყო, სამივე ჯარიმა გამოიყენა. ასეთი აქტიურობის მიუხედავად, მხოლოდ ორი ჯარიმა მიიღო, ხოლო მასთან თამაშში მეტოქეები 4-ჯერ დაჯარიმდნენ. მისი წვლილი ძალიან დიდია იმაში, რომ „მეგა ლეკქსმა“ ამ შეხვედრაში „ჟელეზნიჩარი“ 95:39 გაანადგურა. ჩვენებურის გუნდი, 6 თამაშის შემდეგ, 4 მოგებით, მეორე ადგილზეა.

*რუბრიკა მოამზადა* ირაკლი თავაძემ

წიგნის თარო

# მიმდინარეობს ხელმოწერა


წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა


წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“


წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა


წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

## საყმაწვილო ენციკლოპედია „რა არის რა“


ამინდი


არქიტექტურა


კრიმინალისტიკა


ჯანსაღი კვება


მთები


ევროპა


ოლიმპიური თამაშები


მეკობრეები


ქიმია


ხალხთა დიდი გადასახლება


მეცნიერებები


უძველესი ადამიანი

თითო ტომის ფასი – 9 ლარი

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

## მოვემზადოთ სააბიტურიენტო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გარესაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე

fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩაატაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

კრებულის ფასი – 9.90ლ




სერიის ფასი – 17.70ლ



## ქართული ენის კრებულები

ერთიანი სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

## ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია „ნამდვილი და მოგონილი ამბები“ შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 30.40ლ



## მასწავლებლის ბიბლიოთეკა

სიახლე



### ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

წიგნში თავმოყრილია დაწყებითი კლასებისთვის აქტუალური სწავლების მეთოდების გამოყენებით შექმნილი გაკვეთილის სცენარები ქართულში, მათემატიკაში და ბუნებაში. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლეებს განუვითაროს: წიგნიერების, მედიაწიგნიერების, მათემატიკური წიგნიერებისა და კვლევითი უნარები, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება.

6,50 ლარი

### მასწავლებლის სამუშაო რვეული



**მასწავლებლის სამუშაო რვეული** პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

### კათედრის გამგის პორტფოლიო



**კათედრის გამგის პორტფოლიო** საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

### ინტერაქტიური მეთოდების კრებული



კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

### მასწავლებლის კალენდარი



2015-2016 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას.**

**კალენდარს ახლავს** პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

5,50 ლარი

**ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:**
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი. შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599880073, 0322958023




28 ნოემბერს შედგა შეხვედრა აუდიტორია 115-სა და საქართველოს პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარეს, მარიამ ჯაშს შორის.

შეხვედრის მთავარი თემა იყო აუდიტორია 115-ის ინიციატივა საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით, რომელიც ეხება კანონს უმაღლესი განათლების შესახებ, კერძოდ, 45-ე მუხლის გაუქმებას, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტური თვითმმართველობის არსებულ მოდელს. ასევე, საფაკულტეტო საბჭოებში, სტუდენტთა პირდაპირი წესით არჩევას, რაც გულისხმობს, რომ სტუდენტები საფაკულტეტო საბჭოებში უნდა აირჩნენ პირდაპირი, საყოველთაო, გამჭვირვალე არჩევნების გზით და არა რომელიმე კონკრეტული ორგანოს ან ჯგუფის გავლით.

აღნიშნული შეხვედრა ინფორმაციული ხასიათის იყო, ორივე მხარემ საკუთარი პოზიცია გამოხატა. ქალბატონი მარიამი ეთანხმება სტუდენტების მიერ წარმოდგენილ ძირითად პრინციპებს:

1. სტუდენტებს ჰქონდეთ თანაბარი წვდომა უნივერსიტეტის მატერიალურ და ტექნიკურ რესურსებზე;

2. სტუდენტების არჩევა უნივერსიტეტის საფაკულტეტო საბჭოებში მოხდეს პირდაპირი კენჭისყრის საფუძველზე.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მოსაზრებები მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით ერთმანეთს ემთხვევა და არ არსებობს წინააღმდეგობა კანონპროექტის აღნიშნული პუნქტების შინაარსთან დაკავშირებით, მისი მხრიდან არ არის მზაობა, ამ ცვლილებების მოკლე ვადებში განხორციელებისთვის. ქალბატონმა მარიამ ჯაშმა შემოგვთავაზა სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც განიხილავს კანონპროექტში წარმოდგენილ სხვა საკითხებს. წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, გვაქვს ეჭვი, რომ აღნიშნული ქმედება შესაძლოა ემსახურებოდეს სტუდენტური პროტესტის შეჩერებას, მუხტის გაქრობას და რეალურად, არ ემსახურებოდეს რეფორმების განხორციელებას. ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ შეთავაზებული ძირითადი პრინციპების კანონში ასახვა მოკლე ვადაში უნდა განხორციელდეს. ეს, თავის მხრივ, ხელს არ უშლის მოლაპარაკებების წარმართვას უმაღლეს სასწავლებლებთან დაკავშირებულ ფუნდამენტურ ცვლილებებზე, რაც შედარებით გრძელვადიანი პროცესია.

საბოლოოდ შევთანხმდით, რომ 5 დეკემბერს გაიმართება კომიტეტის გაფართოებული სხდომა უმაღლესი განათლების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე. განხილვა საჯარო იქნება, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს შეეძლება დასწრება. თუმცა, უშუალოდ მოლაპარაკებების პროცესი წარიმართება აუდიტორია 115-სა და კომიტეტს შორის, რაც გამორიცხავს ჩვენი და სტუდენტური თვითმმართველობის თანამშრომლობას.

ამრიგად, აუდიტორია 115 განაგრძობს პროტესტის რადიკალური ფორმით გამოხატვას და რჩება უნივერსიტეტის მეექვსე კორპუსში.

**აუდიტორია 115**

## განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განცხადება თსუ–ში განვითარებული მოვლენების თაობაზე

სტუდენტების მცირე ჯგუფს, რომელიც უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით რადიკალური ფორმებით გამოხატავს პროტესტს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ისევე როგორც თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, თანამშრომლობის ყველანაირი ფორმატი შესთავაზა.

ამასთან, ცალსახად განვმარტავთ, რომ პრემიერ-მინისტრის მიერ სტუდენტებისთვის მიცემულ ყველა პირობაზე დაუყოვნებლივ დაიწყო აქტიური მუშაობა. დასმული საკითხების ნაწილი მყისიერად იქნა მოგვარებული, ხოლო ნაწილზე მიმდინარეობს მუშაობა.

აქვე უნდა განვაცხადოთ, რომ განათლების სამინისტრო კვლავ გამოთქვამს სრულ მზადყოფნას, დაინტერესებულ სტუდენტებთან თანამშრომლობის კონსტრუქციულ რეჟიმში გაგრძელებასთან დაკავშირებით.

შეგახსენებთ, რომ სტუდენტების მიერ წამოყენებული საკითხების შესწავლის და მათზე რეაგირების მიზნით, რამდენიმე თვის წინ, სამინისტროში შეიქმნა განათლების განვითარების პლატფორმა, რომლის მუშაობაში სტუდენტები აქტიურად იყვნენ ჩართულნი. მოგვიანებით, თსუ-ში დამატებით შეიქმნა სტრატეგიული განვითარების ჯგუფი, რომელიც ასევე ღიაა სტუდენტებისთვის და სადაც სწორედ მათთვის საინტერესო საკითხები განიხილება. კერძოდ, გარე რეფერირების ხელშეწყობის მექანიზმების დანერგვა, სტუდენტური საცხოვრებლის მოწესრიგება, უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებები.

სამინისტრო სტუდენტებთან, თსუ-ს ადმინისტრაციასთან, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტთან ერთად სტუდენტების ნებისმიერი ჯგუფის მიერ დაყენებული საკითხების მოგვარებისკენ მომავალშიც ქმედით ნაბიჯებს გადადგამს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო თხოვნით მიმართავს ყველა სტუდენტს, ნუ შეუშლიან ხელს სასწავლო პროცესს და დაინტერესებულ ჯგუფებს მშვიდობიანი დიალოგისკენ მოუწოდებს.




წიგნის თარო
დიოგენე


თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
12 ლარი


ფიზიკა
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია
10 ლარი


ქართული ენის გრამატიკა
სინტაქსი
სასკოლო კურსი
ნ. შარაშენიძე
7 ლარი


თამარ ბეროზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)
10 ლარი


თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
4 ლარი


ბიოლოგია
ეროვნული გამოცდებისთვის
ლ. ბურდილაძე, ნ. სიხარულიძე, ქ. მაღრაძე, ღ. ნაზირიშვილი
I ნაწილი – 10 ლარი
II ნაწილი – 10 ლარი

CMYK